საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში

ანა გამსახურდია

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლავრენტი მაღლაკელიძე

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

თბილისი, 0186, საქართველო

სექტემბერი 2020

საავტორო უფლება 2020, ანა გამსახურდია

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ანა გამსახურდიას მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში“ და ვაძლევ რეკომენდაციას სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: ლავრენტი მაღლაკელიძე

თარიღი: 02.09.2020

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

განაცხადი წარმოდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ, როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სტუდენტი: ანა გამსახურდია

თარიღი: 02.09.2020

რეზიუმე

ბავშვის განსაკუთრებულად მოწყვლადი ბუნების გამო მისი უფლებების დაცვა, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ კავშირების, ასევე ცალკეული ქვეყნების პრიორიტეტად იქცა. სამწუხაროდ, ბავშვები ხშირად ხდებიან სხვადასხვაგვარი ძალადობის მსხვერპლნი. აღსანიშნავია, რომ კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია ბავშვის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, ხოლო ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის იოლად ხელმისაწვდომობამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი ონლაინ სივრცეში ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულის ზრდას.

პორნოგრაფიისადმი მიდგომა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ლიბერალურია, ზოგიერთის კი გაცილებით მკაცრი. აღნიშნულისგან განსხვავებით, ბავშვთა პორნოგრაფიის აკრძალვასთან დაკავშირებით ფართო კონსესუსი არსებობს და იგი თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობით აკრძალულია. საერთო კონსესუსს განაპირობებს ზიანი, რომელიც ადგებათ უშუალოდ ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვებს და საფრთხეები, რომლის წინაშეც ყველა ბავშვი დგება. ბავშვთა პორნოგრაფია მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში კრიმინალიზებულია, თუმცა, ბევრგან არ არსებობს ბავშვთა პორნოგრაფიის დასჯადობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ნორმები, ბუნდოვანია ან საერთოდ არ არსებობს ბავშვთა პორნოგრაფიის განმარტება. აღნიშნული კი ართულებს დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით ბრძოლას.

ინტერნეტმა უპრეცედენტო შესაძლებლობები შესთავაზა მათ შორის დამნაშავეთა სამყაროს. დღეისათვის საერთაშორისო ქსელში თავმოყრილია უამრავი ბავშვთა პორნოგრაფიული მასალა. მეტიც, ეს ქსელი პორნოგრაფიული მასალის გავრცელების ძირითადი გზაა. ინტერნეტი არ ცნობს რომელიმე ქვეყნის საზღვრებს, იგი ტრანსნაციონალური მოვლენაა. ამიტომ, ბავშვთა პორნოგრაფიის ინტერნეტის საშუალებით გაზიარება და გავრცელებაც ცდება ერთი ქვეყნის გამოწვევას და იძენს გლობალურ ხასიათს. აქედან გამომდინარე, ინტერნეტის მეშვეობით ჩადენილ დანაშაულთან საბრძოლველად მნიშვნელოვანია ცალკეული ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია და საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ზრდა.

ინტერნეტ ბავშვთა პორნოგრაფია მჭიდრო კავშირშია კიბერდანაშაულთან. კიბერდანაშაულთა უმრავლესობა ჩადენილია ინდივიდებისა და არა კრიმინალური ორგანიზაციების მიერ, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა სახის კიბერდანაშაულში დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფებიც მონაწილეობენ. რაც შეეხება ბავშვთა პორნოგრაფიას, რა თქმა

უნდა, შესაძლებელია, დამნაშავე მარტო მოქმედებდეს ბავშვთა პორნოგრაფიული ვებგვერდების შექმნისა და მასალის განთავსების დროს, თუმცა ასეთი მასალის გაცვლა უმრავლეს შემთხვევაში ჯგუფური ქმედებაა.

კიბერდანაშაულთან მჭიდრო კავშირმა ბავშვთა პორნოგრაფია ტრანსნაციონალურ გამოწვევად აქცია. სწორედ ამიტომ, აღნიშული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა არსებითად დამოკიდებულია სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობაზე.

სწორედ რომ გავრცელების სისწრაფის, მასშტაბის, ორგანიზებულობისა და მავნე შედეგების გამო ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლა ისეთი საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციების პრიორიტეტად იქცა, როგორიცაა, მაგალითად, ინტერპოლი და ევროპოლი. აღნიშნული საერთაშორისო საპოლიციო ორგანიზაციების კლასიკური modus operandi ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში არა საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება, არამედ მონაცემთა დამუშავება და უსაფრთხო კომუნიკაციის არხებით გაცვლაა. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს როგორც ინტერპოლთან, ისე ევროპოლთან, რაც ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ზრდის.

summary

Due to the vulnerable nature of the child, protection of his / her rights has become a priority of both international organizations and unions, as well as individual countries. Unfortunately, children are often the victims of various forms of violence and commercial sexual exploitation is one of the most common forms of child abuse.

Approaches to pornography vary by country. Some legislation are liberal, while others are much stricter. In contrast, there is a broad consensus on the prohibition of child pornography and it is criminalized in almost every country. however, in many countries there are problems of defining child pornography or appropriate standards of responsibility. These complicate the fight against child pornography on an international level.

The Internet has offered unprecedented opportunities to criminals. There is a lot of child pornography material on the international network. Moreover, this network is a major way of disseminating such material. The Internet does not recognize the borders of the country, it is a transnational phenomenon. Sharing and disseminating child pornography through the Internet is challenge not only for one country, but it's global problem. Therefore, in order to combat crimes committed through the

Internet, it is important to harmonize the national legislation of individual countries with international standards and increase international police cooperation.

Internet child pornography is very linked to cybercrime. Most cybercrimes are committed by individuals, but there are instances, where organized groups of cybercriminals are also involved in crimes. Of course, it is possible for the perpetrator to act alone in creating child pornographic websites and posting material, but the exchange of such material is in most cases a group action. The close connection to cybercrime has made child pornography a transnational challenge. That is why the effectiveness of the fight against this crime essentially depends on international law enforcement cooperation.

Because of the speed and harmful consequences of spread, fighting against child pornography is priority for international law enforcement organizations such as Interpol and Europol. The classic modus operandi of these organizations in the fight against child pornography is not to carry out investigative actions, but to process data and exchange it through secure communication channels. Georgia is actively cooperating with both Interpol and Europol and this significantly increases the effectiveness of the fight against child pornography.

შინაარსი

I. შესავალი 1

II. კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია და მისი უარყოფითი გავლენა ბავშვებზე 4

III. პორნოგრაფიის დასჯადობის საფუძვლები 8

1. პორნოგრაფიის სამართლებრივი არსი 8

2. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ბავშვთა პორნოგრაფიისთვის 13

2.1. ბავშვთა პორნოგრაფიიდან მომდინარე საფრთხეები და ზიანი 13

2.2. ბავშვთა პორნოგრაფიის სამართლებრივი დეფინიცია 16

2.3. ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულები 25

IV. ბავშვთა პორნოგრაფიის ტრანსნაციონალური და ორგანიზებული გავრცელება 32

1. ინტერნეტის გავლენა ბავშვთა პორნოგრაფიაზე 32

2. ორგანიზებული კიბერდანაშაული და ბავშვთა პორნოგრაფია 35

V. ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ საერთაშორისო საპოლიციო ბრძოლა 39

1. საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობა ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში 39

2. საერთაშორისო საპოლიციო ორგანიზაციების როლი ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში 40

2.1. ინტერპოლი, როგორც ბავშვთა პორნოგრაფიასთან მებრძოლი სუბიექტი 40

2.2. ბავშვთა პორნოგრაფიასთან ბრძოლის ღონისძიებები ინტერპოლის ფარგლებში 43

2.3. ევროპოლი, როგორც ბავშვთა პორნოგრაფიასთან მებრძოლი სუბიექტი 48

2.4. ბავშვთა პორნოგრაფიასთან ბრძოლის ღონისძიებები ევროპოლის ფარგლებში 50

VI. დასკვნა 58

ბიბლიოგრაფია 60

დანართი 65

I. შესავალი

ბავშვის უფლებების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება განვითარების სხვადასხვა ეტაპზე არაერთგვაროვანი იყო. ისტორიას ახსოვს პერიოდი, როდესაც ბავშვი შიშველ ობიექტად განიხილებოდა და მშობელს მისი სიცოცხლის განკარგვის უფლებაც კი ჰქონდა. საზოგადოებრივი თვითშეგნების ამაღლების შედეგად, დღეის მდგომარეობით, ბავშვი ძირითადი უფლებების აქტიური სუბიექტია.

ბავშვის უფლებების დაცვა, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ კავშირების, ასევე ცალკეული ქვეყნების პრიორიტეტად იქცა. ამას მოწმობს არაერთი კონვენცია, ხელშეკრულება თუ კანონი, რომელიც არა მხოლოდ კრძალავს ბავშვის ობიექტად მიჩნევას, არამედ უზრუნველყოფს მისი უფლებების დაცვას სხვადასხვა სფეროში.

მიუხედავად ამისა, განსაკუთრებულად მოწყვლადი ბუნების გამო, ბავშვები ხშირად ხდებიან სხვადასხვაგვარი ძალადობის მსხვერპლნი. თუმცა, ბავშვის მოწყვლადობა მოძალადისთვის მიზეზი კი არა, ქმედების განხორციელების გაადვილების ფაქტორია. რაც შეეხება ძალადობის მიზეზს, იგი შეიძლება გამომდინარეობდეს ინდივიდუალური, სოციალური და კულტურული ფაქტორების ურთიერთქმედებიდან.

კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია ბავშვის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა მსოფლიოში. ბავშვზე ძალადობა აღნიშნული სახით ხშირია საქართველოშიც. კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია გულისხმობს ბავშვის გამოყენებას სექსუალური მიზნებისთვის, ფულზე, საგნებზე გაცვლის ან ნატურით გადახდის სანაცვლოდ. იგი სხვადასხვა ქმედებაში შეიძლება გამოვლინდეს, მაგალითად,

ბავშვთა პროსტიტუცია, ბავშვებით ვაჭრობა, სექს-ტურიზმი და ბავშვთა პორნოგრაფია[1]. ქართულ რეალობაში ხშირია ადრეული ქორწინების შემთხვევებიც.

ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის იოლად ხელმისაწვდომობამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი ონლაინ სივრცეში ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულის ზრდას. სწორედ ამიტომ, აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლა მჭიდროდაა დაკავშირებული კიბერდანაშაულთან ბრძოლასთან.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კიბერსივრცის გამოყენების შედეგად ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულების გავრცელების ფარგლები ცდება ცალკეული ქვეყნის საზღვრებს. ხშირად მასში ჩართულია სხვადასხვა ქვეყნის არაერთი მოქალაქე და მათ შორის არსებული დანაშაულებრივი ქსელის გამოკვლევა და გამოაშკარავება, გავრცელების მასშტაბებისა და ორგანიზებული ხასიათის გამო, განსაკუთრებულ გამოწვევაა. ასევე, ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული საქმეების ანალიზი იძლევა საფუძველს, აღნიშნული დანაშაული განხილულ იქნეს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ჭრილში. ეს კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო ზრდის მის საშიშ ბუნებას.

სწორედ რომ გავრცელების სისწრაფის, მასშტაბის, ორგანიზებულობისა და მავნე შედეგების გამო ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლა ისეთი საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციების პრიორიტეტად იქცა, როგორიცაა, მაგალითად, ინტერპოლი და ევროპოლი.

ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლა აქტუალური გახდა საქართველოშიც. ამას მოწმობს 2019 წლის სექტემბერსა და დეკემბერში საქართველოს, აშშ-ს და ავსტრალიის სამართალდამცავი უწყებებისა და

[1] <https://ojjdp.ojp.gov/programs/commercial-sexual-exploitation-children> [08.03.2020]

ევროპოლის თანამშრომელთა მიერ განხორციელებული ერთობლივი საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად გამოვლენილი საერთაშორისო დანაშაულებრივი სქემა და ბავშვთა პორნოგრაფიის ბრალდებით დაკავებული სხვადასხვა ქვეყნის 22 მოქალაქე.[2] ამ საქმის მასალებით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ბავშვთა პორნოგრაფია არის დანაშაული, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ეფექტიანი შეიძლება იყოს მხოლოდ საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის შედეგად და ცალკეული ქვეყანა ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში უძლურია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ნაშრომის მიზანია ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის არსის განსაზღვრა, განსაკუთრებით კი ბავშვთა პორნოგრაფიის დასჯადობის სამართლებრივი საფუძვლების გაანალიზება სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით და მისი განხილვა ტრანსნაციონალურ ჭრილში. ასევე,კვლევის მიზანია, აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ საპოლიციო ბრძოლაში ინტერპოლისა და ევროპოლის როლის განსაზღვრა, ბრძოლის მექანიზმების გაანალიზება და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის პროცესში გამოვლენილი სირთულეების გადაჭრისთვის რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება საქართველოს სამართალდამცავი უწყებებისთვის.

კვლევა ძირითადად ეყრდნობა დესკრიფციულ, ანალიტიკურ და შედარებით-სამართლებრივ კვლევის მეთოდებს. მეთოდური კვლევის საფუძველზე მოხდება ბავშვთა პორნოგრაფიასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმებთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის, სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა.

[2] <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-arasrultslovnebis-pornografiis-ukanonod-damzadeba-gasaghebisa-da-trefikingis-braldebit-organizebuli-danashaulebrivi-djgufis-11-tsevri-daakava/12975> [08.03.2020]

ნაშრომი ექვსი ნაწილისგან შედგება. I და VI ნაწილი, შესაბამისად, შესავალი და დასკვნაა, ხოლო ძირითადი კვლევა II-V ნაწილებშია მოქცეული. II ნაწილი ეთმობა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის ზოგად დახასიათებასა და მის გავლენას ბავშვებზე. III ნაწილში განხილულია პორნოგრაფიისა და ბავშვთა პორნოგრაფიის ლეგალური დეფინიცია და პასუხისმგებლობის საფუძვლები შედარებით-სამართლებრივ კონტექსტში. რაც შეეხება IV ნაწილს, აქ საუბარია ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელების ტრანსნაციონალურ და ორგანიზებულ ხასიათზე, ხოლო V ნაწილი ეთმობა აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო საპოლიციო მექანიზმების განხილვას და მათი როლის გაანალიზებას.

II. კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია და მისი უარყოფითი გავლენა ბავშვებზე

ბავშვი, მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის, უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოცვაში, ბედნიერების, სიყვარულისა და გაგების ატმოსფეროში. იგი მთლიანად მომზადებული უნდა იყოს საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აღიზარდოს მშვიდობის, ღირსების, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით.[3] სწორედ ამ მიზანს ემსახურება ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს 1989 წლის კონვენცია, რომლითაც მონაწილე სახელმწიფოებს ბავშვის უფლებების აღიარებასთან ერთად განესაზღვრათ მისი ყველა ფორმის სექსუალური ექსპლუატაციისგან დაცვის ვალდებულება.[4]

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის გაანალიზებამდე, აუცილებელია განვსაზღვროთ თუ ვინ შეიძლება იყოს ამ დანაშაულის მსხვერპლი. ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვი არის 18 წლის ასაკს მიუღწეველი

[3] ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის პრეამბულა.
[4] ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია, მუხ. 34.

ყოველი პირი თუ კანონით, რომელიც მის მიმართ გამოიყენება, ის უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას. ქვეყნების უმრავლესობაში სრულწლოვანების ასაკი 18 წელია, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში იგი შეიძლება იყოს ნაკლები ან მეტი[5][6]. აღსანიშნავია, რომ სრულწლოვანების ასაკი ხშირად არ ემთხვევა ე.წ. სექსუალური სიმწიფის ასაკს („age of sexual consent"), რომელიც აქტუალურია სქესობრივი დანაშაულების კონტექსტში.

მართალია, „სექსუალური სიმწიფის ასაკი" ბევრი ქვეყნის კანონმდებლობაში სამართლებრივი ტერმინის სახით არ არის დამკვიდრებული[7], მაგრამ მის განმარტებას იძლევა ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის დირექტივა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. კერძოდ, ეს არის ასაკი, რომლის მიღწევამდეც ბავშვთან სექსუალური კავშირი ეროვნული კანონმდებლობით დასჯადია. ასეთად მიიჩნევა ასაკობრივი ზღვარი, რომლის ზემოთაც პირს აქვს უნარი, გაცნობიერებული თანხმობა განაცხადოს მასთან ან მის მიერ სექსუალური ქმედების განხორციელებაზე.[8] ამ ზღვრულ ასაკს მიუღწეველ პირთან ნებისმიერი სექსუალური ქმედების განხორციელება დანაშაულია, მიუხედავად მისი თანხმობისა. სექსუალური სიმწიფის ასაკი ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. ევროპაში იგი ძირითადად 14-დან 18 წლამდე მერყეობს.[9]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია სექსუალური ძალადობის ერთ-ერთი სახეა.[10] იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც

---

[5] <https://fra.europa.eu/en/publication/2017/mapping-minimum-age-requirements/age-majority> [25.03.2020]

[6] <https://criminal.findlaw.com/juvenile-justice/juvenile-justice-background.html> [25.03.2020]

[7] Clough J., Lawful Acts, Unlawful Images: The Problematic Definition of Child Pornography, Monash University Law Review, vol. 38, N3, 2012, 219.

[8] DIRECTIVE 2011/92/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 13 December 2011, Art. 2 (b).

[9] Child Pornography Legislation within the European Union (public information), Publications Office of the EU, 2005, 15.

[10] <https://www.nspcc.org.uk/what-is-child-abuse/types-of-abuse/child-sexual-exploitation/> [25.03.2020]

კომერციული მიზნით, ასევე მის გარეშე. კომერციული მიზნით ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია არსებითად არღვევს ბავშვის უფლებებს, რამე თუ იგი ხდება სექსისა და კომერციის საგანი. ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის სტოკჰოლმის 1996 წლის დეკლარაციის თანახმად, ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია მოიცავს სექსუალურ ძალადობას ან ექსპლუატაციას მოზრდილი ადამიანის მიერ და ბავშვისთვის ან მესამე პირისთვის/პირებისთვის ფულის ან ნატურის სახით გასამრჯელოს გადახდას. იგი არის ბავშვთა მიმართ იძულების და ძალადობის გამოვლინება, რომელიც უთანაბრდება იძულებით შრომასა და მონობის თანამედროვე ფორმას.[11] ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის ნათელი მაგალითია პროსტიტუცია, პორნოგრაფია, სექსუალური მიზნით ტრეფიკინგი და სექს-ტურიზმი. თავის მხრივ, კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის ყველა ფორმა მჭიდროდაა დაკავშირებული ბავშვთა პორნოგრაფიასთან, რადგან თითოეული მათგანი ხშირად პორნოგრაფიული მასალის დამზადების საუკეთესო წყაროა. მიუხედავად ამისა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ამ ნაშრომში განხილული იქნება მხოლოდ ბავშვთა პორნოგრაფია და მის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო საპოლიციო მექანიზმები.

ნებისმიერი ფორმით ბავშვის ექსპლუატაციის სიმძიმეს, როგორც იმწუთიერად განცდილი, ასევე, ხანგრძლივი უარყოფითი შედეგები განაპირობებს. ძალადობის კვალი მის აწმყოსა და მომავალზე მკვეთრად აისახება. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე შედეგის მომტანია სექსუალური ექსპლუატაცია, რომელმაც, შესაძლოა, სრულად დაანგრიოს ბავშვის ფიზიკური ან/და მენტალური ჯანმრთელობა და შეაფერხოს მისი პიროვნული განვითარება.

[11] Declaration and Agenda for Action 1st World Congress against Commercial Sexual Exploitation of Children, Stockholm, August 1996, sec. 5.

სამწუხაროდ, ბავშვთა პორნოგრაფიის წყაროდ, დამნაშავეები, ხშირად, სექსუალურ ექსპლუატაციას იყენებენ, რა დროსაც, ბავშვებს, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის შედეგად, უწევთ დაამყარონ არასასურველი სექსუალური კავშირი, ხშირად ერთზე მეტ ადამიანთან. ბავშვთან სექსუალურ კავშირს კი თავის მხრივ ახლავს მაგალითად, ცემის ან სხვაგვარი ძალადობის შედეგად მრავლობითი მოტეხილობა, ვაგინალური ან/და ორალური სისხლდენა, მოძრაობის გაძნელება, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებით დაინფიცირება და ადრეული, არასასურველი ორსულობა.[12] არასასურველი ორსულობა თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე, რამეთუ მისი შედეგი უმეტესწილად აბორტია. იზრდება სექსუალური დისფუნქციის რისკი. უკიდურეს შემთხვევაში სექსუალურმა ექსპლუატაციამ შესაძლოა ბავშვის გარდაცვალებაც კი გამოიწვიოს.

ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გარდა, სექსუალურ ექსპლუატაციის მავნე შედეგი ბავშვის მენტალურ და ემოციურ მდგომარეობაზეც ახდენს გავლენას. ექსპლუატაციის დროს განცდილმა ძალადობამ შესაძლოა გამოიწვიოს ტრავმის შემდგომი ფსიქიკური აშლილობა, იცვლება ბავშვის ემოციური მდგომარეობა, ძალადობის დროს განცდილი გაუცნობიერებელი სიამოვნება ბავშვს დანაშაულის გრძნობას უღვივებს, რის გამოც იგი საკუთარ თავზე იღებს მომხდარის გამო პასუხისმგებლობას.[13]

სექსუალური ექსპლუატაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხანგრძლივი სიმპტომი დეპრესიაა, რა დროსაც მსხვერპლს უჭირს განცდილის დავიწყება, აქვს საკუთარი სხეულის ზიზღი. ეს გრძნობა წლების განმავლობაში არ ტოვებს მას, რის შედეგადაც მსხვერპლი თავს სრულიად

[12] <https://www.nspcc.org.uk/what-is-child-abuse/types-of-abuse/child-sexual-exploitation/> [25.03.2020]

[13] Hall M., Hall J., The Long-Term Effects of Childhood Sexual Abuse: Counseling Implications, American Counseling Association, 2011, 2-3.

უსარგებლოდ მიიჩნევს და თავს არიდებს საზოგადოებას. უსარგებლობის განცდა მას თვითდაზიანებისა და თვითმკვლელობის სურვილს უჩენს.

ბავშვობაში განცდილი ექსპლუატაციის ხანგრძლივი შედეგი შეიძლება იყოს განათლებაში ჩამორჩენა, უმუშევრობა, დამოკიდებულება ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე, დანაშაულებრივ ქმედებებში მონაწილეობა, უსახლკარობა, საზოგადოების მხრიდან სტიგმატიზაცია, გარიყვა და მარგინალიზაცია.[14]

როგორც ჩანს, ბავშვობაში განცდილი ძალადობა მნიშვნელოვნად აფერხებს ან უარეს შემთხვევაში გამორიცხავს ბავშვის პიროვნების სრულფასოვან განვითარებას. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ბავშვის ინტერესების საერთაშორისო მასშტაბით დაცვა.

III. პორნოგრაფიის დასჯადობის საფუძვლები

1. პორნოგრაფიის სამართლებრივი არსი

არსებობს მოსაზრება, რომ ინტერნეტის სწრაფი ზრდის, პოპულარობისა და მისი კომერციული პოტენციალის გამოვლეინის განმაპირობებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ონლაინპორნოგრაფიაა. „მოზრდილთა“ კიბერპორნოგრაფია სექსუალური დაკმაყოფილების დემოკრატიზაციას ემსახურება.[15]

სხვადასხვა ქვეყნის იურისდიქციაში პორნოგრაფიული ნაწარმოების თუ პორნოგრაფიული ხასიათის მქონე სხვა საგნის დამზადებისა და გავრცელებისათვის განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაციებია დაწესებული. მართალია, პორნოგრაფიის ცნების უნივერსალური სამართლებრივი განმარტება არ არსებობს, მაგრამ კანონმდებლობის

[14] A shared responsibility Workers organizations in the fight against the commercial sexual exploitation of children and adolescents, International Labour Organization (ILO) 2008, 4.
[15] ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ., მედიასამართალი, თბილისი 2014, 275.

განჭვრეტადობის მიზნით, ზოგიერთი ქვეყანა ზოგადად განმარტავს ამ ტერმინს და დეტალურად აღწერს პორნოგრაფიის აკრძალულ კატეგორიებს.

ასეთი მიდგომა აირჩია გერმანიამაც. გერმანიის კანონმდებლობაში პორნოგრაფიის განმარტება არ გვხვდება, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით მკაცრ კონტროლს ექვემდებარება მძიმე (Hard-Core) პორნოგრაფია. სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილია პორნოგრაფიის გარკვეული კატეგორიები და დასჯადი ქმედებები. გერმანიაში ისჯება პორნოგრაფიული ნაწარმოების გავრცელება არასრულწლოვან პირებზე ან დატყვევებულ აუდიტორიაზე; იმგვარი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადება, ფლობა, რეალიზაცია, შეთავაზება, იმპორტი ან ექსპორტი, რომელიც შეიცავს ძალადობის ამსახველ სექსუალურ სცენებს, ან ადამიანის სექსუალურ კავშირს ცხოველთან; ბავშვთა (14 წლამდე პირი) პორნოგრაფია; არასრულწლოვანთა (14-18 წლამდე პირი) პორნოგრაფია; პორნოგრაფიული ნაწარმოების ტელეკომუნიკაციების მეშვეობით გავრცელება; ბავშვთა ან არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის ჩვენების ორგანიზება ან ჩვენებაზე დასწრება.[16]

გერმანიის მსგავსად, არც საფრანგეთის კანონონმდებლობითაა განმარტებული პორნოგრაფია. აქ, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, პორნოგრაფიული ნაწარმოები ლეგალურია. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დასჯადია მძიმე პორნოგრაფიის გავრცელება 18 წლამდე პირებზე.[17] სამწუხაროდ, კოდექსში არ არის განმარტებული თუ რა იგულისხმება მძიმე პორნოგრაფიაში.

კანადაში აკრძალულ ქმედებად ითვლება უხამსობა (Obscenity). სისხლის სამართლის კოდექსის 163-ე მუხლის თანახმად, ნაწარმოები უხამსობაა თუკი

[16] Strafgesetzbuch, §184-184e.
[17] Penal Code of France, §227-4.

მისი მთავარი მახასიათებელი ავხორცული სექსის, ან სექსისა და დანაშაულებრივი ქმედების, ძალადობის ან სისასტიკის კომბინირებული გამოსახვაა. კანონით ისჯება უხამსობის (Obscene Material) დამზადება, გამოქვეყნება, გავრცელება, გაყიდვა და ფლობა გამოქვეყნების, გავრცელების ან გაყიდვის მიზნით.[18]

ინგლისსა და უელსში უხამსობის მარეგულირებელი ნორმები Obscene publication act 1959-შია მოცემული. კანონით განსაზღვრულია პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში ნაწარმოები უნდა ჩაითვალოს უხამსობად. კერძოდ, კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნაწარმოები უხამსია თუკი იგი სხვადასხვა ფორმით ქმნის იმ პირების მიერ მასზე წვდომის შესაძლებლობას, რომელთა ღირსებაც შეიძლება შეილახოს მასალის გაცნობით. აღსანიშნავია, რომ როგორც ინგლისისა და უელსის, ასევე სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით დაწესებული აკრძალვები არ ეხება მასალას, რომელსაც გააჩნია სახელოვნებო, სალიტერატურო ან სამეცნიერო ღირებულება. Obscene publication act 1959-ის მიხედვით, დასჯადი ქმედებაა უხამსობის გავრცელება, გაყიდვა, გაქირავება, გასაყიდად ან გასაქირავებლად შეთავაზება, ჩვენება და ელექტრონული გადაცემა.[19] რაც შეეხება უხამსობის ფლობას, დასჯადია მხოლოდ ექსტრემალური პორნოგრაფიის ფლობა.[20] Criminal Justice and Immigration Act 2008 კი განსაზღვრავს, თუ რა მიიჩნევა ექსტრემალურ პორნოგრაფიად და მისი არსი ძალიან გავს მძიმე პორნოგრაფიას, რომელიც ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით დასჯადია, თუმცა ტერმინი - ბუნდოვანი. კერძოდ, ექსტრემალურ პორნოგრაფია არის შეურაცხმყოფელი, უხამსი მასალა, რომელის მიზანიც პირის სექსუალური აღგზნებაა და აღბეჭდავს სექსუალური ხასიათის ისეთ ქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის მონაწილე პირის სიცოცხლეს ან რის შედეგადაც შეიძლება

[18] Criminal Code of Canada, sec. C-46.
[19] UK Obscene Publications Act 1959, sec. 1.
[20] UK Criminal Justice and Immigration Act 2008, part 5.

მნიშვნელოვნად დაზიანდეს პირის ანუსი, მკერდი ან გენიტალიები. ექსტრემალურ პორნოგრაფიად მიიჩნევა სქესობრივი კავშირი ან ორალური სექსი ცოცხალ ან მკვდარ ცხოველთან, თანხმობის გარეშე პენეტრაცია ვაგინაში, ანუსსა და პირის ღრუში პენისით, სხეულის სხვა ნაწილით ან რაიმე საგნის გამოყენებით[21].

ასევე, სრულწლოვანი პირების მონაწილეობით დამზადებული პორნოგრაფიული ნაწარმოები სრულად არ არის ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორების (გამოხატვის თავისუფლება) დაცვის სფეროდან ამოვარდნილი.[22] უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული იქნა რამდენიმე პრეცედენტული გადაწყვეტილება, რის შედეგადაც დადგენილია უხამსობის სტანდარტი, რა დროსაც გამართლებულია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. აშშ-ში დღეს მოქმედი უხამსობის სტანდარტი (ე.წ. „მილერის ტესტი“) მომდინარეობს საქმიდან Miller v. California.[23] მილერი პასუხისგებაში იქნა მიცემული ისეთი უხამსობის გავრცელებისათვის, რომლის მიღებაც ადრესატებს არ მოუთხოვიათ. კერძოდ, უხამსობად იქნა მიჩნეული ბროშურა ჯგუფური სექსის ამსახველი ილუსტრაციებით, სადაც წარმოდგენილი იყო ასევე ქალისა და კაცის გენიტალიები. მიღებული გადაწყვეტილებით სასამართლომ ჩამოაყალიბა ტესტი, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მასალა მიიჩნევა უხამსობად. ტესტის არსი შემდეგია: ა)თანამედროვე საზოგადოებაში დამკვიდრებული სტანდარტის გათვალისწინებით მიიჩნევს თუ არა „საშუალო ადამიანი“ მოცემულ მასალას, როგორც სექსისადმი ავხორცული ინტერესის გამომწვევს; ბ) ასახავს თუ არა მოცემული მასალა სექსუალურ ქცევას აშკარად შეურაცხმყოფელი ფორმით; გ) მოკლებულია თუ არა მოცემული მასალის

[21] UK Criminal Justice and Immigration Act 2008, part 5.63.
[22]<https://www.freedomforuminstitute.org/first-amendment-center/topics/freedom-of-speech-2/adult-entertainment/pornography-obscenity/> [18.04.2020]
[23] Miller v. California, 413 U.S. 15 (1973)

კონტექსტი სერიოზულ ლიტერატურულ, მხატვრულ, პოლიტიკურ ან მეცნიერულ ღირებულებებს. ამ სტანდარტიდან გამომდინარე დაუშვებელია, აიკრძალოს ყველა სახის პორნოგრაფია, თუმცა ეს არ გამორიცხავს არასრულწლოვანთათვის მათი ხელმისაწვდომობის შეზღუდვას.

რაც შეეხება საქართველოს, დასჯადია პორნოგრაფიული მასალის უკანონოდ დამზადება, გავრცელება ან რეკლამირება, აგრეთვე ასეთი საგნით ვაჭრობა ანდა მისი შენახვა გაყიდვის ან გავრცელების მიზნით.[24] სამწუხაროდ, ქვეყნის კანონმდებლობაში არ მოიძებნება ჩანაწერი, რომელიც განსაზღვრავს თუ რა მიიჩნევა პორნოგრაფიად, არ არსებობს პორნოგრაფიისთვის დადგენილი ობიექტური კრიტერიუმები. აგრეთვე, სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს პორნოგრაფიული მასალის უკანონო დამზადების, გავრცელებისა და რეკლამირების დასჯადობას, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არც ამ ქმედებათა კანონიერი გზით განხორციელების რეგულაციებს ითვალისწინებს. ყოველივე ამის ფონზე მცირდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის განჭვრეტადობა. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შესაძლებელია ამ პრობლემის აღმოფხვრა. კერძოდ, კანონმდებელს შეუძლია გაითვალისწინოს აშშ-ს პრაქტიკა და ჩამოაყალიბოს სტანდარტი, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც ნაწარმოები მიიჩნევა პორნოგრაფიად ან აირჩიოს გერმანული მოდელი, რომელშიც მართალია, პორნოგრაფიის კონკრეტული განმარტება არ არის მოცემული, მაგრამ მკაცრად განსაზღვრულია ყველა დასჯადი ქმედების არსი.

როგორც ჩანს, პორნოგრაფიისადმი მიდგომა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვა კატეგორიის პორნოგრაფიის დამზადებაზე, ფლობასა და გავრცელებაზე მეტად ლიბერალურია, ზოგიერთი კი გაცილებით მკაცრ აკრძალვებს აწესებს,

[24] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 255.1.

ქვეყნების ნაწილი პორნოგრაფიისა თუ უხამსობის განმარტებას იძლევა, მეორე ნაწილი კი ამ საკითხს ღიად ტოვებს. აღნიშნულისგან განსხვავებით, ბავშვთა პორნოგრაფიის აკრძალვასთან დაკავშირებით, დემოკრატიულ სახელმწიფოებში ფართო კონსესუსი არსებობს და იგი თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში აკრძალული და მკაცრად დარეგულირებულია. სამართლიანად დაუშვებელია ლიბერალური მიდგომა, როდესაც საქმე ბავშვების სექსუალურ ვიქტიმიზაციას ეხება.

2. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ბავშვთა პორნოგრაფიისთვის

პედოფილია დღევანდელ მსოფლიოში მორალური პანიკის გამომწვევი მოვლენაა. სწორედ მასთან მჭიდრო კავშირმა განაპირობა საზოგადოების მხრიდან ბავშვთა პორნოგრაფიის მიმართ საყოველთაო ომის გამოცხადება.[25]

ბავშვთა პორნოგრაფიის სამართლებრივი ანალიზი და მისგან მომდინარე საფრთხეების ადეკვატურად შეფასება მასთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმების დანერგვის წინაპირობაა. სწორედ ამიტომ, აღნიშნულ თავში განხილული იქნება ბავშვთა პორნოგრაფიით გამოწვეული საფრთხეებისა და ზიანის არსი, ბავშვთა პორნოგრაფიის სამართლებრივი განმარტება საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი აქტების მიხედვით და მასთან დაკავშირებული დანაშაულები შედარებით-სამართლებრივ კონტექსტში.

2.1. ბავშვთა პორნოგრაფიიდან მომდინარე საფრთხეები და ზიანი

ბავშვთა პორნოგრაფიაზე მსჯელობისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი პორნოგრაფია, რომელსაც მხოლოდ მონაწილე პირთა ასაკი გამოარჩევს, არამედ ეს არის მასალა, რომელიც აღბეჭდავს

[25] ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ., მედიასამართალი, თბილისი 2014, 276.

დანაშაულს - სექსუალურ ძალადობას ბავშვებზე. არსებობს მოსაზრება, რომ ტერმინი „ბავშვთა პორნოგრაფია“ („Child Pornography“) დანაშაულის შინაარსს სრულად ვერ გადმოსცემს,[26] რადგან ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით პორნოგრაფია არის კანონის მოთხოვნათა დაცვით, სრულწლოვანი პირების მონაწილეობით დამზადებული მასალა, რომლის მიზანიც სხვა პირებისთვის სექსუალური სიამოვნების მინიჭებაა. ბავშვს, განვითარების დაბალ სტადიაზე ყოფნიდან გამომდინარე, არ შეუძლია პორნოგრაფიაში მონაწილეობაზე სამართლებრივად ნამდვილი ნების გაცხადება, ის ხდება სექსუალური ძალადობის ან/და ექსპლუატაციის მსხვერპლი. სწორედ ამიტომ, ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა ამ ტერმინის გამოყენებაზე და დღეს, სხვადასხვა იურისდიქციაში ვხვდებით ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „sexually abusive images of children“, „child sexual abuse images“, „child abuse material“, „child abuse imagery“ ან „sexually exploitive material“[27]. მოცემული ტერმინები ხაზს უსვამს, რომ მასალა აღბეჭდავს სექსუალურ ძალადობას ბავშვებზე ან მათ სექსუალურ ექსპლუატაციას. არც ქართული კანონმდებლობა იცნობს ტერმინს „ბავშვთა პორნოგრაფია“ და ამ დანაშაულის კონტექსტში გამოიყენება შემდეგი ტერმინი „არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოები“. როგორც ჩანს, არც ქართულ რეალობაში მოიცავს სამართლებრივი ტერმინი ძალადობის ელემენტს, რაც თავის მხრივ, კიდევ ერთხელ გაუსვამდა ხაზს ბავშვებზე სექსუალურ ძალადობას ან მათ სექსუალურ ექსპლუატაციას. მოცემულ ნაშრომში ზოგად ტერმინად „ბავშვთა პორნოგრაფიის“ გამოყენების ერთადერთი მიზეზი, ტერმინისადმი საერთაშორისო მასშტაბით ერთიანი მიდგომის არ არსებობა და ჯერ კიდევ აღნიშნული ტერმინის ფართო გამოყენებაა.

[26] Leary M.G., The Language of Child Sexual Abuse and Exploitation, in: Refining Child Pornography Law, Edited by Hessick C.B., University of Michigan Press, 2016, 32.
[27] იქვე: 33.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პორნოგრაფიისგან განსხვავებით, ბავშვთა პორნოგრაფიის დასჯადობაზე საერთო კონსესუსი არსებობს. აღნიშნულს განაპირობებს ზიანი, რომელიც ადგებათ კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვებს და საფრთხეები, რომლის წინაშეც ყველა ბავშვი დგება. ბავშვთა პორნოგრაფია განსაკუთრებით საშიში ბოროტებაა, რომელიც ძალადობს და ექსპლუატაციას უწევს საზოგადოების ყველაზე სუსტ და დაუცველ წვერებს - ბავშვებს. სამწუხაროდ, ბავშვები ადვილად შეიძლება მოექცნენ გავლენის ქვეშ, მათ არ შესწევთ საკმარისი უნარი ადეკვატურად შეაფასონ არსებული მდგომარეობა. სწორედ ეს განაპირობებს მათი მომეტებული დაცვის საჭიროებას.

შეიძლება ითქვას, რომ პორნოგრაფიულ მასალაზე გამოსახული ბავშვის ზიანი ორი სახისაა: იმწუთიერი და ხანგრძლივი. იმწუთიერ მავნე შედეგებს სექსუალური ექსპლუატაციის პროცესი განაპირობებს და ისინი ზემოთ იქნა განხილული. რაც შეეხება ხანგრძლივ ზიანს, პირველ რიგში ეს არის თავად მასალა, რომელიც დამზადების შემდგომ ვრცელდება და გამოიყენება. მისი ყოველი გამოყენება ბავშვის ხელახალი ვიქტიმიზაციაა. ასევე, ეს მასალა საფრთხის შემცველია სხვა ბავშვებისთვისაც. დამნაშავე ხშირად იყენებს მათ სხვა ბავშვების გარყვნისა და მათ ხაფანგში მოსამწყვდევად, რათა სხვა ბავშვებმაც ნახონ, რომ უფროსებთან სექსი „სავსებით ნორმალური მოვლენაა“[28]. არსებობს მოსაზრება, რომ პირი ბავშვზე ძალადობის ფოტოებს ბავშვთან სექსის ქონის გაცნობიერებული თუ ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი სურვილის გამო აგროვებს.[29] აღნიშნული კი პედოფილიის დამატებითი საფრთხეა.

[28] Leary M.G., Self Produced Child Pornography: The Appropriate Societal Response to Juvenile Self-Sexual Exploitation, Virginia Journal of Social Policy and the Law, Vol 15, N1, 2008, 20.
[29] Carr J., child abuse, child pornography and the internet, London 2003, 15-16.

სწორედ ამიტომ, ბავშვთა პორნოგრაფიის კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს პირველ რიგში პორნოგრაფიაში გამოყენებული ბავშვების ზიანის პრევენიცას, ასევე, იგი ემსახურება პორნოგრაფიული მასალის არსებობიდან მომდინარე საფრთხეების შემცირებას.

2.2. ბავშვთა პორნოგრაფიის სამართლებრივი დეფინიცია

პორნოგრაფიისგან განსხვავებით, ბავშვთა პორნოგრაფიის განმარტებასა და მასთან დაკავშირებულ დანაშაულებს მოიცავს როგორც საერთაშორისო აქტები, ასევე ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობაც. უნდა აღინიშნოს, რომ განმარტებები სხვადასხვა იურისდიქციაში განსხვავებულია, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ასეთ განმარტებას საერთოდ არ იძლევა, ზოგან კი იგი ძალიან ბუნდოვანია. ერთიანი მიდგომის არ არსებობა მნიშვნელოვნად ამცირებს დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით ბრძოლის ეფექტიანობას. ბავშვთა პორნოგრაფიის სამართლებრივ განმარტებასთან დაკავშირებული გამოწვევის დაძლევის მიზნით, ქვემოთ გაანალიზებული იქნება სხვადასხვა საერთაშორისო თუ ეროვნულ აქტში შემოთავაზებული რამდენიმე განმარტება.

ბავშვთა პორნოგრაფიას განმარტავს ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ. ოქმის თანახმად, ბავშვთა პორნოგრაფია „ეს არის იმ ბავშვის ნებისმიერ გამოსახვა, რომელიც ასრულებს რეალურ ან მოდელირებულ აშკარა სექსუალურ ქმედებებს, ან ბავშვის სასქესო ორგანოების გამოსახვა ძირითად სექსუალური მიზნებისათვის“[30]. ამ

[30] ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, მუხ. 20 (c).

განმარტებას ძალიან ჰგავს სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მიერ შემოთავაზებული განმარტება, რომლის თანახმადაც ბავშვთა პორნოგრაფია არის მასალა, რომელზეც გამოსახულია სექსუალური სურვილის გამომწვევ რეალურ თუ იმიტირებულ ქმედებაში მონაწილე ბავშვი ან ბავშვის სასქესო ორგანოების გამოსახულება ძირითადად სექსუალური მიზნით[31].

ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებულ ძირითად განმარტებებს შეიცავს ასევე ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის დირექტივა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. აღნიშნული დირექტივის თანახმად, ბავშვთა პორნოგრაფია არის ნებისმიერი მასალა ბავშვის ან ბავშვის შესახედაობის მქონე პირის გამოსახულებით, რომელიც რეალურ ან სიმულირებულ, სექსუალურ ქმედებაში მონაწილეობს, ბავშვის ან ბავშვის შესახედაობის მქონე პირის სასქესო ორგანოების პირდაპირი სექსუალური მიზნით წარმოდგენა ნებისმიერი ფორმით, ასევე, ბავშვის რეალისტური წარმოდგენა, რომელიც სექსუალურ ქმედებაში მონაწილეობს, ან მისი სასქესო ორგანოების სექსუალური მიზნით რეალისტური წარმოდგენა.[32]

როგორც ჩანს, წარმოდგენილი განმარტებებით ნაწარმოების ბავშვთა პორნოგრაფიად მიჩნევისათვის აუცილებელია, გამოსახული ბავშვი რეალურ ან მოდელირებულ სექსუალურ ქმედებას ახორციელებდეს ან გამოსახული იყოს მისი გენიტალიები სექსუალური მიზნით. მაგალითად, მშობლის მიერ ყოველგვარი დანაშაულებრივი მოტივის გარეშე გადაღებული ბავშვის გენიტალიის ფოტო, მხოლოდ დამნაშავის ხელში მოხვედრის შემდეგ ქმნის ბავშვთა პორნოგრაფიის ქმედების შემადგენლობას, რადგან იგი გამოიყენება,

[31] ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის The New Jersey Code of Criminal Justice ოს კონვენცია, მუხ. 20.2.

[32] DIRECTIVE 2011/92/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 13 December 2011, Art. 2 (c).

როგორც სექსუალური ჟინის დაკმაყოფილების ან გრუმინგის საშუალება. სწორედ ამ დროს ხდება გამოსახული ბავშვის ვიქტიმიზაცია.

მკერდი სექსუალური აღგზნების გამომწვევ სხეულის ნაწილად ითვლება. სულაც არაა ძნელი წარმოსადგენი, მეტიც, საკმაოდ ბუნებრივია, ბავშვის შიშველი მკერდის გამოსახულება, ისევე როგორც გენიტალიებისა, აღაგზნებდეს დამნაშავეს. იგივე შეიძლება ითქვას დუნდულებზეც. ამ განმარტებებიდან გამომდინარე კი, ყოველგვარი სექსუალური ქმედების განხორციელების გარეშე ბავშვის გამოსახვა შიშველი მკერდით, არ მიიჩნევა ბავშვთა პორნოგრაფიად. ბავშვთა პორნოგრაფიისთვის საჭიროა დამატებითი, სექსუალური სურვილის გამომწვევი აშკარა მოქმედება, ასეთ შემთხვევაში მასალა დააკმაყოფილებს ბავშვთა პორნოგრაფიის კრიტერიუმებს. მიუხედავად ამისა, ორივე შემთხვევაში ხდება ბავშვის ვიქტიმიზაცია და მის მიერ განცდილი ზიანი და ზოგადად ქმედების საშიშროებიდან მომდინარე საფრთხეები მსგავსია. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, გენიტალიებისგან განსხვავებით, რატომ არ არის ბავშვის შიშველი მკერდის ან დუნდულების ვიზუალიზაცია პორნოგრაფიული ნაწარმოები.

ბავშვთა პორნოგრაფიის განმარტება ფედერალურ დონეზე განსაზღვრული აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, რომლის თანახმადაც, ბავშვთა პორნოგრაფია 18 წლამდე პირის სექსუალური ქმედების ვიზუალური გამოსახვაა. პორნოგრაფიად მიიჩნევა მასალა, რომელიც გენერირებულია კომპიუტერული ტექნოლოგიის მეშვეობით და გამოსახული პირის გარჩევა რეალური არასრულწლოვნისგან შეუძლებელია, ასევე სიმულაციური ფოტოები, რომლებზეც რეალური ბავშვია გამოსახული. რაც შეეხება სექსუალურ ქმედებას, არ არის აუცილებელი ბავშვი რაიმე სახით ახორციელებდეს სექსუალურ აქტივობას, არამედ საკმარისია მისი შიშველი გამოსახვა, თუკი ასეთ გამოსახულებას პირის სექსუალური აღგზნება

შეუძლია.[33] აღნიშნული განმარტების თანახმად, კომპიუტერული ტექნოლოგიებით გენერირებული გამოსახულება, რომელზეც რეალური ბავშვი არაა ასახული, არ არის დანაშაულის საგანი. ამ საკითხზე აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა საქმეზე Ashcroft v. Free Speech Coalition და აღნიშნა, რომ თუკი კომპიუტერული ტექნოლოგიით გენერირებული ვიზუალური მასალა არ აღბეჭდავს რეალურ ბავშვს, იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბავშვთა პორნოგრაფიად. ამ შემთხვევაში ირელევანტურია ძალადობის პოტენციური მსხვერპლი ბავშვების დაცვის მიზანი.

საზოგადოებისა და მეცნიერთა აზრი კომპიუტერული ტექნოლოგიით გენერირებულ ბავშვთა პორნოგრაფიის დასჯადობაზე ორადაა გაყოფილი. დასჯადობის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ასეთი მასალა აქეზებს პედოფილს და უქმნის მას რეალურ ბავშვზე ძალადობის სურვილს. ასევე, პედოფილს, ამ მასალის გამოყენება შეუძლია სხვა ბავშვების გრუმინგისთვის. ამის საწინააღმდეგოდ, საზოგადეობის ნაწილი თვლის, რომ ბავშვთა ფსევდო პორნოგარფიის სხვა ბავშვის გარყვნისა და ცდუნებისთვის გამოყენების საფრთხე არ შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ ყველამ იკითხოს და უყუროს მხოლოდ იმას, რაც მორგებულია ბავშვებზე. საქმეზე Ashcroft v. Free Speech Coalition მოსამართლე კენედიმ განაცხადა, რომ სათამაშო ან ტკბილეულიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ბავშვის შესაცდენად, მაგრამ ეს ვერ იქნება მათი აკრძალვის არგუმენტი[34].

საინტერესოა ნიუ-ჯერსის შტატის ბავშვთა პორნოგრაფიის მარეგულირებელი კანონმდებლობაც, რომელიც ქმედების დასჯადობას მეტწილად სუბიექტურ ელემენტებზე აფუძნებს. კერძოდ, პორნოგრაფიად მიიჩნევა არა მხოლოდ სექსუალურ ქმედებაში მონაწილე ბავშვის გამოსახვა, არამედ ბავშვის გამოსახვა მაცდუნებლად, სექსუალურ კონტექსტში. ეს შეიძლება იყოს ბავშვის

[33] United States Code, title 18, sec. 2256.
[34] Ashcroft v. Free Speech Coalition, 535 U.S. 234 (2002), 5.

ნაწილობრივ დაფარული ინტიმური ადგილების, ბავშვის ინტიმურ ადგილებთან შეხების ან ბავშვის სხვაგვარი გამოსახვა, ისე რომ გამოსახვის მანერა პირს ბავშვის მიმართ უჩენდეს ავხორცულ სექსუალურ ინტერესს და გამოსახულებას არ ჰქონდეს ლიტერატურული, სახელოვნებო ან სამეცნიერო ღირებულება.[35]

ამ განმარტების თანახმად ბავშვთა პორნოგრაფიისთვის სიშიშვლეც კი არ არის აუცილებლი და გამოსახულების მიერ სექსუალური აღგზნების გამოწვევაც საკმარისია. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რას ფიქრობს პირი გამოსახულების შესახებ და არა იმას, თუ როგორ იქნა იგი შექმნილი. ირელევანტური ხდება ფაქტი, მიადგა თუ არა ბავშვს რაიმე ზიანი, როდესაც სწორედ ზიანი განაპირობებს ბავშვთა პორნოგრაფიის კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცული სფეროდან გამორიცხვას. მართალია, სუბიექტური ფაქტორები ხშირად გამოიყენება დანაშაულებრივ ქმედების განსაზღვრის მიზნით, მაგრამ ამ შემთხვევაში ობიექტური გარემოების სრულად უგულებელყოფით მივდივართ ბუნდოვან რეალობასთან, როდესაც პირს აღაგზნებს თბილად შემოსილი ბავშვის გამოსახულება და ასეთი მასალის დამზადების ან ფლობის გამო დაისაჯოს ბავშვთა პორნოგრაფიის მუხლით.

ზოგიერთი შტატის კანონმდებლობა ბავშვთა პორნოგრაფიის განმარტებას საერთოდ არ ითვალისწინებს და იყენებს ე.წ. „Dost test“[36]- ს ქმედების შესაფასებლად. ამ ტესტის კრიტერიუმები შემდეგია:

- გამოსახულებაში არის თუ არა ძირითადი აქცენტი გენიტალიებზე ან ბოქვენის მიდამოებზე;
- გამოსახულება არის თუ არა სექსუალურად აღმგზნები;

[35] The New Jersey Code of Criminal Justice, sec. 2C:34-3.

[36] Hessick C.B., The Expansion of Child Pornography Law, New Criminal Law Review, UNC Legal Studies Research Paper N21, April, 2018, 6.

- გამოსახულია თუ არა ბავშვი არაბუნებრივ პოზაში ან შეუსაბამო ჩაცმულობით;
- რა დონეზეა ბავშვი შემოსილი;
- შეუძლია თუ არა ბავშვის მსგავს გამოსახვას მასთან სექსუალური ქმედების განხორციელების სურვილის აღძვრა;
- არის თუ არა ამ გამოსახულების მიზანი მაყურებლის საპასუხო სექსუალური ქმედების გამოწვევა.

აშკარაა, რომ ტესტი სუბიექტური ელემენტებსაც შეიცავს, მაგრამ ისინი დაბალანსებულია ობიექტური გარემოებებით, რაც დასჯადობის საფუძვლების განჭვრეტადობას მაქსიმალურად უწყობს ხელს.

ინგლისსა და უელსში ბავშვთა პორნოგრაფიის მარეგულირებელი მთავარი საკანონმდებლო აქტია Protection of Children Act 1978, რომელმაც Criminal Justice Act 1988-ის, Criminal Justice and Public Order Act 1994-ისა და Sexual Offences Act 2003-ის საფუძველზე რამდენჯერმე განიცადა ცვლილება, რათა მომხდარიყო მისი ჰარმონიზაცია ბავშვთა პორნოგრაფიის დასჯადობის საერთაშორისო სტანდარტებთან.[37] აღსანიშნავია, რომ არც ერთ ზემოთხსენებულ აქტში ბავშვთა პორნოგრაფია, როგორც სამართლებრივი ტერმინი არ გვხვდება და დანაშაულებრივი ქმედების აღსანიშნად გამოიყენება ტერმინი - ბავშვის უხამსი (indecent) გამოსახულება. კანონმდებლობა არც უხამსობის განმარტებას იძლევა. სახელმძღვანელო დოკუმენტებში კი აღნიშნულია, რომ უხამსობა შეიძლება იყოს სექსუალური შეღწევის ან სხვაგვარი სექსუალურ ქმედების აღმბეჭდავი გამოსახულება[38].

---

[37] Akdeniz Y., INTERNET CHILD PORNOGRAPHY AND THE LAW, National and International Responses, University of Leeds, 2008, 18-19.

[38] <https://www.gov.uk/government/publications/indecent-images-of-children-guidance-for-young-people/indecent-images-of-children-guidance-for-young-people> [27.04.2020]

Criminal Justice and Public Order Act 1994-ით, ინგლისსა და უელსში დასჯადად გამოცხადდა კომპიუტერული ტექნოლოგიით გენერირებული ან სიმულირებული პორნოგრაფია, თუკი გამოსახული პირი აღიქმება, როგორც ბავშვი.[39] აღნიშნული განაპირობა ფართოდ გავრცელებულმა მოსაზრებამ, რომ ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, უფრო და უფრო შეუძლებელი გახდება ასეთი გამოსახულების რეალურისგან გარჩევა. ასევე, „ფსევდო" გამოსახულებების ფლობაც ქმნის რეალურ საფრთხეს, რომ მფლობელი ადრე თუ გვიან აუცილებლად იძალადებს ბავშვზე. როგორც ჩანს, დასჯადობის მიზანი მეტწილად პრევენციულია. კანონმდებლობის ასეთი მიდგომა განასხვავებს მას აშშ-ში გავრცელებული პრაქტიკისგან.

ინგლისისა და უელსისგან განსხვავებით, ბავშვთა პორნოგრაფია სამართლებრივი ტერმინია კანადაში. კანადის სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს მის განმარტებასაც. კერძოდ, ბავშვთა პორნოგრაფიად მიიჩნევა 18 წელს მიუღწეველი პირის ნამდვილ ან სიმულირებულ სექსუალურ ქმედებაში მონაწილეობის ვიზუალური გამოსახვა. მსგავსი ვიზუალური გამოსახულება ბავშვთა პორნოგრაფიად მიიჩნევა მაშინაც, თუკი პირი გამოიყურება ისე, თითქოს იგი 18 წლის ასაკს მიუღწეველი იყოს. ამ შემთხვევაში მისი რეალური ასაკი ირელევანტურია. ასევე, 18 წელს მიუღწეველი პირის სასქესო ორგანოების ან ანალური ხვრელის გამოსახვაც ბავშვთა პორნოგრაფიაა.[40] კანადის სისხლის სამართლის კოდექსი კიდევ უფრო აფართოებს ბავშვთა პორნოგრაფიის მნიშვნელობას და ამბობს, რომ წერილობითი მასალა, რომლის მთავარი მახასიათებელი, სექსუალური მიზნით 18 წლამდე პირთან განხორციელებული სექსუალური ქმედების აღწერაა, მიიჩნევა ბავშვთა პორნოგრაფიად.[41] კანადის უზენაესმა სასამართლომ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ასეთი წერილობითი მასალა, რომელიც შემქმნელის მიერ ინახება

[39] UK Criminal Justice and Public Order Act 1994, sec. 84.
[40] Criminal Code of Canada, Sec. 163.1 (1) (ii).
[41] Criminal Code of Canada, Sec. 163.1 (1).

მხოლოდ პირადი გამოყენების მიზნით, გამოხატვის თავისუფლებითაა დაცული.[42]

საინტერესოა, რამდენად ზრდის 18 წლამდე პირთან განხორციელებული სექსუალური ქმედების აღმწერი წერილობითი მასალის კრიმინალიზაცია ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას. უმრავლეს ქვეყანაში პორნოგრაფიული ნაწარმოების განხილვისას ძირითადი აქცენტი ვიზუალურ გამოსახულებაზე კეთდება. თუკი ვიზუალური მასალის დამზადებაში რეალური ბავშვია ჩართული, მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ექსპლუატაცია ეჭვს არ იწვევს. თუმცა, ბუნდოვანია ზიანის არსი ბავშვზე სექსუალური ძალადობის წერილობითი აღწერისას. რა თქმა უნდა, არსებობს რისკი, ასეთი მასალა დამნაშავის მიერ გამოყენებულ იქნეს გრუმინგისთვის და ბავშვზე შემდგომი ძალადობისთვის, თუმცა ასეთ შემთხვევაში თავად გრუმინგი ან ძალადობის კონკრეტული სახე უნდა ისჯებოდეს და არა თავად ასეთი მასალის შექმნა.

ბავშვთა პორნოგრაფია სამართლებრივი ტერმინია (kinderpornographische Schrift) გერმანიაშიც. გერმანიის კანონმდებლობით ბავშვთა პორნოგრაფიად ითვლება სექსუალური ქმედება განხორციელებული ბავშვის (14 წლამდე პირი) მიერ ან მისი თანდასწრებით, ასევე ბავშვის შიშველი ან ნაწილობრივ შიშველი გამოსახვა სექსუალურ პოზაში ან ბავშვის შიშველი გენიტალიისა ან/და დუნდულების სექსუალურად აღმგზნები გამოსახვა.[43] გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 184c მუხლით კი დასჯადია არასრულწლოვანთა პორნოგრაფია (jugendpornographischer Schriften), რაც გულისხმობს არასრულწლოვნის (14-დან 18-წლამდე პირი) სექსუალურ ქმედებაში მონაწილეობის, ან მისი თანდასწრებით განხორციელებული სექსუალური ქმედების გამოსახვას, ასევე არასრულწლოვნის შიშველ ან

[42] R v. Sharpe (2001) SCC 2. File No. 27376, 26 January 2001.
[43] Strafgesetzbuch, §184b.

ნაწილობრივ შიშველ გამოსახვას სექსუალურ პოზაში. აღსანიშნავია რომ როგორც ბავშვთა, ასევე არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის შემთხვევაში დასჯადია სიმულირებული ბავშვთა პორნოგრაფიაც[44].

ბავშვთა პორნოგრაფია ცდება საქართველოს კონსტიტუციით დაცული გამოხატვის თავისუფლების ფარგლებსაც.[45] კანონმდებლობა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიკაციამდეც ითვალისწინებდა გარკვეულ გარანტიებს არასრულწლოვანების სექსუალურ განვითარებასთან დაკავშირებით. ბავშვთა პორნოგრაფიის განმარტება ქართულ კანონმდებლობაში პირველად სისხლის სამართლის კოდექსში 2003 წელს განხორციელებული ცვლილებით გაჩნდა. საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, მოგვიანებით, იგი უფრო მეტად დაიხვეწა. კოდექსის მოქმედი რედაქციით კი არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოები არის ნებისმიერი მეთოდით შექმნილი ვიზუალური ან აუდიოვიზუალური მასალა, აგრეთვე დადგმული წარმოდგენა, რომელშიც სხვადასხვა საშუალებით წარმოდგენილია არასრულწლოვნის ან არასრულწლოვნის გამოსახულების მქონე პირის მონაწილეობა ნამდვილ, სიმულირებულ ან კომპიუტერული ტექნოლოგიის მეშვეობით გენერირებულ სექსუალურ სცენებში ან ნაჩვენებია არასრულწლოვნის გენიტალიები მომხმარებლის სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით[46]. სამწუხაროდ, ამ განმარტებით, შიშველი გენიტალიების ნაცვლად შიშველი მკერდის ან შიშველი დუნდულების გამოსახვა (მაგალითად, როგორც გერმანიაშია) არ ჩაითვლება ბავშვთა პორნოგრაფიად. მიუხედავად ამისა, კოდექსისეულ განმარტებაში

[44] <https://www.ecpat.org/wp-content/uploads/2016/04/EXSUM_A4A_EU_GERMANY.pdf> [07.05.2020]
[45] საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, მუხ. 17.
[46] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 255.

ჩამოთვლილი დასჯადი ქმედებები სრულად შეესაბამება როგორც ოქმის, ასევე კონვენციის დებულებებს.

ქვეყნების უმრავლესობაში ბავშვთა პორნოგრაფიად 18 წლამდე პირის პორნოგრაფიული გამოსახვა მიიჩნევა, სექსუალური სიმწიფის ასაკად კი 16 წელია განსაზღვრული. გამონაკლისია, მაგალითად გერმანია და ავსტრია, სადაც ბავშვთა პორნოგრაფია 14 წლამდე პირის პორნოგრაფიული გამოსახვა, ხოლო 14-დან 18 წლამდე პირის კი არასრულწლოვანთა პორნოგრაფიაა[47]. ამ ქვეყნებში სექსუალური სიმწიფის ასაკიც 14 წელია. ამის ფონზე ქვეყნების უმრავლესობის პრაქტიკა ერთი შეხედვით უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს, რადგან 16 წელს მიღწეულ პირს სექსუალური ქმედების განახორციელების უფლება აქვს, თუმცა კანონიერი ქმედების რაიმე ფორმით აღბეჭდვა დანაშაულია. აღნიშნულს ნამდვილად აქვს ლეგიტიმური საფუძველი. სექსუალური აქტივობის აღბეჭდვის შემდეგ, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ მსგავსი მასალის გამოყენებით მოხდება ამ ბავშვებზე შემდგომი სექსუალური ძალადობა ან/და მათი ექსპლუატაცია. სწორედ სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის პრევენციას ემსახურება სექსუალური სიმწიფის ასაკსა და ბავშვთა პორნოგრაფიისთვის განსაზღვრულ ასაკს შორის სხვაობის არსებობა.

2.3. ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულები

როგორც ჩანს, ბავშვთა პორნოგრაფია მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში კრიმინალიზებულია, თუმცა, ბევრგან არ არსებობს ბავშვთა პორნოგრაფიის დასჯადობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ნორმები, ბუნდოვანია ან საერთოდ არ არსებობს ბავშვთა პორნოგრაფიის განმარტება.

[47] Child Pornography Legislation within the European Union (public information), Publications Office of the EU, 2005, 13.

ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს შიდა კანონმდებლობით დასჯადად გამოაცხადონ ბავშვთა პორნოგრაფიის წარმოება, გადანაწილება, გავრცელება, იმპორტი, ექსპორტი, შეთავაზება, გაყიდვა ან შენახვა ზემოთ აღნიშნული მიზნებისათვის.[48] რაც შეეხება სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას, იგი ჩამოთვლის ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებულ შემდეგ დანაშაულებს: ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის დამზადება, შეთავაზება ან ხელმისაწვდომად ქცევა, დისტრიბუცია ან გადაგზავნა, ყიდვა საკუთარი თავისთვის ან სხვა პირისთვის, ფლობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით გავრცელება, ბავშვთა პორნოგრაფიული მასალით სარგებლობის შესაძლებლობის შეგნებულად მოპოვება.[49]

ბავშვთა პორნოგრაფიის დამზადება ან ნებისმიერი ფორმით გავრცელება, ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით კრიმინალიზებულია.[50] ქვეყნების განსხვავებული მიდგომა განსაკუთრებით იჩენს თავს ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობასთან დაკავშირებით. ზოგიერთ ქვეყანაში ფლობა ლეგალიზებულია, ზოგან კი დაშვებულია მარტივი ფლობა - შემდგომი გაყიდვის, გავრცელების ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფის მიზნის გარეშე ფლობა.

ოქმი მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს დასჯადად გამოაცხადონ ბავშვთა პორნოგრაფიის შენახვა არა პირადი სარგებლობისთვის, არამედ მაგალითად თუ პირს აქვს ამ მასალის შემდგომი გავრცელების, გაყიდვის ან მისი ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფის მიზანი. ევროსაბჭოს

---

[48] ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, მუხ. 3.1.c.

[49] ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხ. 20.1.

[50] Child Pornography: Model Legislation & Global Review, International Centre for Missing & Exploited Children. Fifth Edition, 2008, 11-32.

კონვენციიდან გამომდინარე კი ასეთი მიზნის არსებობა ირელევანტურია და დასჯადობისთვის საკმარისია ფლობის ფაქტი.

ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა, რომელიც უზენაესი სასამართლოს მიერ ამ თემაზე მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების შედეგად ჩამოყალიბდა. აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცული გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ექცევა პორნოგრაფიული მასალა, თუკი იგი ე.წ. მილერის ტესტის შესაბამისად არ აკმაყოფილებს უხამსობის სტანდარტს. აქედან გამომდინარე, წლების განმავლობაში არსებობდა მოსაზრება, რომ ბავშვთა პორნოგრაფიაც დაცული იყო პირველი შესწორებით[51]. ამისგან განსხვავებით, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ 1982 წელს საქმეზე *New York v. Ferber* აღნიშნა, რომ ბავშვთა პორნოგრაფია, მიუხედავად იმისა, აკმაყოფილებს თუ არა იგი უხამსობის სტანდარტს, არ არის დაცული კონსტიტუციის პირველი შესწორებით და მისი წარმოება და გასაღება ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დასჯადი. უხამსი მასალის ფლობაც ექცევა პირველი შესწორებით დაცულ სფეროში, ამიტომ არსებობდა მოსაზრება, რომ ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობაც კანონით დაცული ქმედება იყო[52]. აღნიშნულის შესახებ აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა საქმეზე *Osborne v. Ohio* და განმარტა, რომ ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობა არ არის დაცული კონსტიტუციის პირველი შესწორებით, რადგან სახელმწიფოს ინტერესი აკრძალოს ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობა სხვა პორნოგრაფიული მასალის ფლობის აკრძალვის ინტერესისგან ძალიან განსხვავდება. ამ დროს სახელმწიფოს მიზანი არ არის „დაარეგულიროს“ დამნაშავის აზროვნება, არამედ სახელმწიფო ისწრაფვის მსხვერპლი ბავშვების

[51]<https://www.freedomforuminstitute.org/first-amendment-center/topics/freedom-of-speech-2/adult-entertainment/pornography-obscenity/> [18.04.2020]

[52] Hessick C.B., The Expansion of Child Pornography Law, New Criminal Law Review, UNC Legal Studies Research Paper N21, April, 2018, 4.

დაცვისკენ. ასევე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მასალის მფლობელები არიან პირები, რომლებიც ქმნიან ბაზარს ასეთი მასალის დამზადებისთვის. შესაბამისად, ფლობის აკრძალვა არის ერთ-ერთი გზა ასეთი ბაზრის დასანგრევად.[53] ბაზრის დანგრევა კი პოტენციური მსხვერპლი ბავშვების გადარჩენას ნიშნავს. მასალის ფლობის აკრძალვა არის პრევენციის ერთ-ერთი საშუალებაც, რადგან ასეთი მასალა ხშირად გამოიყენება გრუმინგისთვის და ქმნის სხვა ბავშვზე სექსუალური ძალადობის საფრთხეს. უზენაესი სასამართლოს აღნიშნული მიდგომა ნაწილობრივ შეიცვალა საქმეზე Ashcroft v. Free Speech Coalition მსჯელობისას. სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიით გენერირებული ვიზუალური მასალის ფლობა, რომელიც არ აღბეჭდავს რეალურ ბავშვს, არ შეიძლება აიკრძალოს. დღეისათვის, როგორც ფედერალურ, ასევე ყველა შტატის დონეზე დასჯადია ბავშვთა პორნოგრაფიის, როგორც დამზადება ასევე ფლობაც, როდესაც გამოსახული ბავშვი რეალურია.[54]

გერმანიაში განსხვავებული მიდგომაა ბავშვთა და არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის ფლობისადმი. ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობა ყველა შემთხვევაში აკრძალულია, არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის ფლობის აკრძალვა კი ხდება გარკვეული გამონაკლისებით. კერძოდ, არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის ფლობა დეკრიმინალიზებულია ისეთ შემთხვევაში, თუკი მასალა დამზადებულია 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ და გამოსახული, 14 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვნის თანხმობით.[55] გერმანიისგან განსხვავებით ავსტრიაში პირადი მოხმარების მიზნით ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობა კანონით დაშვებულია თუკი გამოსახულია 14 წელს მიღწეული არასრულწლოვანი, რომელმაც თანხმობა

[53] Osborne v. Ohio, 495 U.S. 103 (1990).
[54] Hessick C.B., The Expansion of Child Pornography Law, New Criminal Law Review, UNC Legal Studies Research Paper N21, April, 2018, 10.
[55] <https://www.ecpat.org/wp-content/uploads/2016/04/EXSUM_A4A_EU_GERMANY.pdf> [07.05.2020]

განაცხადა დამზადებაზე.[56] ასევე, ავსტრიაში დაშვებულია არარეალური არასრულწლოვნების გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული მასალის ფლობა.[57] სრულად არ არის აკრძალული ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობა დანიაში. მართალია, ეროვნული კანონმდებლობით ბავშვთა პორნოგრაფიად 18 წლამდე პირის პორნოგრაფიული გამოსახვა მიიჩნევა და ასეთი ნაწარმოების ფლობა დასჯადი ქმედებაა, თუმცა დეკრიმინალიზებულია ისეთი პორნოგრაფიული მასალის ფლობა, რომელზეც გამოსახულია 15 წელს მიღწეული პირი, მისივე თანხმობით.[58]

შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა ბავშვთა პორნოგრაფიის მიღება, გავრცელება, გადაგზავნა, მასზე წვდომის სხვაგვარად უზრუნველყოფა და ფლობა. თუმცა, არ ისჯება ასეთი მასალის პირადი მოხმარება, ყურება. მაგალითად, ბავშვთა პორნოგრაფიის ვებგვერდის ვიზიტი, ლინკის შენახვა და პორნოგრაფიის ყურება არ არის დასჯადი.[59]

ბავშვთა პორნოგრაფიის მარტივი ფლობა დასჯადია კანადაშიც. ფლობის დასჯადობის კონსტიტუციურობის საკითხზე იმსჯელა კანადის უზენაესმა სასამართლომ საქმეზე R V. SHARPE. ბატონი შარფის ბრალდების ნაწილი ეხებოდა ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობას. ის აღნიშნულ მასალას მხოლოდ პირადი გამოყენების მიზნით ფლობდა და ინახავდა. ორი ინსტანციის სასამართლომ ბავშვთა პორნოგრაფიის მარტივი ფლობის აკრძალვა არაკონსტიტუციურად მიიჩნია, რადგან კანონის მიზანი ბავშვისთვის რეალური საფრთხის შემქმნელი ნაწარმოების აკრძალვაში დაინახა. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეზე ვერ იქნა წარმოდგენილი სამეცნიერო მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა კავშირს ბავშვთა

[56] <https://www.ecpat.org/wp-content/uploads/2016/04/EXSUM_A4A_EU_Austria.pdf> [07.05.2020]
[57]<https://www.ris.bka.gv.at/Dokumente/Bundesnormen/NOR40194048/NOR40194048.html> [07.05.2020]
[58]<https://www.ohchr.org/Documents/HRBodies/CRC/StudyViolenceChildren/Responses/Denmark.pdf> [07.05.2020]
[59] <https://www.ecpat.org/wp-content/uploads/2016/04/EXSUM_A4A_EU_SWEDEN.pdf> [07.05.2020]

პორნოგრაფიული მასალის მარტივ ფლობასა და შემდგომ ბავშვთა გრუმინგს ან პედოფილთა მიერ ბავშვზე სხვაგვარი ძალადობის განხორციელების საფრთხეს შორის. განსხვავებულ შეხედულებას დაუჭირა მხარი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობამ და მარტივი ფლობის აკრძალვა კონსტიტუციურად მიიჩნია. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს არ ევალებოდა რაიმე სამეცნიერო მტკიცებულების წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობა ზიანს აყენებს ბავშვებს, მარტივი ფლობის აკრძალვისთვის ზიანის გონივრული საშიშროებაც საკმარისია. უზენაესმა სასამართლომ მარტივი ფლობასა და ზიანს შორის კავშირი დაინახა და აღნიშნა, რომ ბავშვთა პორნოგრაფია ამახინჯებს პირის ცნობიერებას, უქმნის მას ფანტაზიებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს. პორნოგრაფიული მასალა დამნაშავის მიერ გამოიყენება ბავშვის გრუმინგის ან/და ცდუნებისთვის. და რაც ყველაზე მთავარია, პორნოგრაფიის რეალური ბავშვის მონაწიელობით დამზადების დროს, ბავშვი ძირითად შემთხვევაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება. აღნიშნული გადაწყვეტილებით ასევე დაწესდა გარკვეული გამონაკლისი ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობის აკრძალვასთან დაკავშირებით. კერძოდ, პირი არ დაისჯება მხოლოდ მის მიერ/მონაწილეობით შექმნილი წერილობითი ან ვიზუალური პორნოგრაფიული მასალის პირადი გამოყენების მიზნით ფლობისთვის.[60]

კონვენციაც მოიცავს დათქმას, რომლის თანახმადაც, თითოეულ მხარეს უფლება აქვს დასჯადად არ გამოაცხადოს ისეთი მასალის დამზადება ან/და ფლობა, რომელიც შეიცავს არარსებული ბავშვის იმიტირებულ ან რეალურთან მიმგვანებულ გამოსახულებას ან იმ ბავშვის გამოსახულებას, რომელსაც შეუსრულდა ასაკი, რომლის ზემოთაც მასთან სექსუალური ურთიერთობის

[60] Akdeniz Y., INTERNET CHILD PORNOGRAPHY AND THE LAW, National and International Responses, University of Leeds, 2008, 142-144.

დამყარება შიდა კანონმდებლობით დასაშვებია და თუ ეს გამოსახულებები დამზადებულია მის მიერ და მის მფლობელობაშია, მისივე თანხმობით და მხოლოდ მისივე პირადი მოხმარებისთვის.[61] ასეთ მასალას სამეცნიერო ლიტერატურაში თვითწარმოებულ პორნოგრაფიად მოიხსენიებენ (Self produced pornography).

მართალია არასრულწლოვნები აბსოლუტურად თავისუფალი ნებით აწარმოებენ და ფლობენ საკუთარ პორნოგრაფიულ მასალას, თუმცა ხშირია ამ მასალის შემდგომი გავრცელების ფაქტიც. „თვით-ექსპლუატაციის“ მიზანი შეიძლება იყოს კომერციული ან სხვა სახის სარგებლის მიღება, ყურადღების მიქცევის სურვილი და სხვა. ბევრ ქყვეყანაში ეს ქმედება ისჯება, როგოც ბავშვთა პორნოგრაფია.[62]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები პასუხისმგებლობას აწესებს არასრულწლოვანთა (18 წლამდე პირების) პორნოგრაფიისთვის. საერთაშორისო რეკომენდაციების საფუძველზე დანაშაულადაა აღიარებული წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების არა მხოლოდ დამზადება, გასაღება, ნებისმიერი ფორმით მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ან შეძენა, არამედ ასეთი ნაწარმოების შენახვა (მიზანი ირელევანტურია) და მისი სარგებლობაც.[63] გამონაკლისია ნაწარმოები, რომელსაც სამედიცინო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო ან სახელოვნებო ღირებულება აქვს. კოდექსში არ არის დათქმა თვითწარმოებული პორნოგრაფიის შენახვის ან მისით სარგებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ 16 წლის

[61] ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხ. 20.3.
[62] Leary M.G., Self Produced Child Pornography: The Appropriate Societal Response to Juvenile Self-Sexual Exploitation, Virginia Journal of Social Policy and the Law, Vol 15, N1, 2008, 4-6.
[63] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 255.

არასრულწლოვანი, რომელთანაც სექსუალური ურთიერთობის დამყარება კანონმდებლობით დასაშვებია, დაისჯება მის მიერ თავისუფალი ნებით დამზადებული და მის მფლობელობაში, მხოლოდ მისივე პირადი მოხმარებისთვის არსებული პორნოგრაფიული ნაწარმოების შენახვისთვის. საქართველო არ სარგებლობს კონვენციის საგამონაკლისო პირობით და პორნოგრაფიის განსაკუთრებით საშიში ბუნების გამო მაშინაც კი არ ტოვებს უყურადღებოდ მოსალოდნელ ზიანს, როდესაც ამსრულებელი თავად ბავშვია და პასუხისმგებლობას ჰიპოთეტურ საფრთხის გამო აწესებს. თუმცა, გაუგებარია არასრულწლოვნის განვითარებისთვის საკუთარი გენიტალიების ამსახველი ვიზუალური მასალის ფლობა უფრო ხელის შემშლელია თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ასეთი ქმედებისთვის.

IV. ბავშვთა პორნოგრაფიის ტრანსნაციონალური და ორგანიზებული გავრცელება

1. ინტერნეტის გავლენა ბავშვთა პორნოგრაფიაზე

ინტერნეტმა ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალი ერა შექმნა, რომელიც უპრეცედენტო შესაძლებლობებს სთავაზობს საზოგადოებას. შესაძლებლობების ზრდა, თავის მხრივ, ხელსაყრელი აღმოჩნდა დამნაშავეთა სამყაროსთვისაც. საინფორმაციო ტექნოლოგიების ევოლუციის შედეგად, კრიმინალებს საშუალება მიეცათ, დროის მცირე მონაკვეთში, ჩაიდინონ დანაშაული ერთი ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებს მიღმა და სწრაფად გაანადგურონ კვალი და შესაძლო მტკიცებულებები. აღნიშნულის წყალობით, დამნაშავეებმა, სამართალდამცავ უწყებებთან შედარებით, მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვება შეძლეს.

ინტერნეტის საშუალებით ბავშვთა პორნოგრაფიაზე წვდომა და მისი გავრცელება საზოგადოებისთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად 1990-იანი

წლებიდან იქცა, როდესაც პედოფილებმა სექსუალური შინაარსის მასალების გაზიარება და გავრცელება დაიწყეს.[64] დღეისათვის ინტერნეტში თავმოყრილია უამრავი ბავშვთა პორნოგრაფიული მასალა. მეტიც, ინტერნეტი ასეთი მასალის გავრცელების ძირითადი გზად და პედოფილთათვის „საუკეთესო სანადირო ტერიტორიად“ იქცა[65]. მისი უმთავრესი ხიბლი გავრცელების მასშტაბებსა და შედარებით ანონიმურ ბუნებაში მდგომარეობს. ასევე, ინტერნეტ პორნოგრაფიის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ქსელით მასალის ნაკლები დანახარჯებით გავრცელების შესაძლებლობაა, ხოლო, პორნოგრაფიის წვდომაზე დაწესებული ასაკობრივი შეზღუდვები კი არაეფექტიანია.[66]

ბავშვთა პორნოგრაფიის გასაზიარებლად და გასავრცელებლად, მისი მოყვარულები ინტერნეტის სხვადასხვა შესაძლებლობას იყენებენ. აქტიურად გამოიყენება ფაილების გაზიარების ქსელები, სიახლეების გაზიარების ჯგუფები და თანასწორთა სისტემები (peer-2-peer systems). ბავშვებთან კონტაქტის დამყარებისა და გრუმინგისთვის ხელსაყრელია სოციალური ქსელები, ონლაინ თამაშები და ფორუმები.[67] დამნაშავეთა სამყაროში პორნოგრაფიული მასალის გავრცელებისთვის უფრო და უფრო პოპულარული ხდება დარქნეტი, იგივე ბნელი ვები, რომელთან წვდომაც შესაძლებელია სპეციალური TOR ქსელით, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა მიმართულებით დაშიფრულ ტრაფიკებს გადამცემთა ფენების მეშვეობით გზავნის.[68] TOR ქსელით უკეთაა შესაძლებელი იდენტობის გაუმჟღავნებლად ინტერნეტში გადაადგილება და მასალის მოპოვება. იგი საშუალებას იძლევა ბავშვთა

---

[64] Akdeniz Y., INTERNET CHILD PORNOGRAPHY AND THE LAW, National and International Responses, University of Leeds, 2008, 11.

[65] Esposito L.C., Regulating the Internet: The New Battle against Child Pornography, Case Western Reserve Journal of International Law N30, 1998, 541.

[66] Carr J., child abuse, child pornography and the internet, London, 2003, 15-16.

[67] Mezei K., Nagy Z., Organised Cybercrime Groups and Their Illicit Online Activities, Studia Iuridica Auctoritate Universitatis Pecs Publicata 154, 2016, 145.

[68] <https://www.techradar.com/news/what-is-the-dark-web-how-safe-is-it-and-how-to-access-it-your-questions-answered?fbclid=IwAR0L_NwyostzXFXqwtF3oOi4vAa2b2cZ2IBB71aEOrFmTTJf1_VCzUgdiRQ> [18.05.2020]

პორნოგრაფია გახდეს მიუკვლეველი და მასალების გაზიარება და გავრცელება ვებგვერდებით, პირადი შეტყობინებებითა და მეილებით იყოს ანონიმური. კვლევების თანახმად, დარქნეტში ყველაზე ნახვადი მასალა სწორედ ბავშვთა პორნოგრაფიაა და ასეთ გვერდებზე შესვლის 80% პედოფილიასთანაა კავშირში.[69]

ბავშვთა პორნოგრაფიისადმი ლიბერალური მიდგომების არ არსებობამ იგი „მიწისქვეშა“[70] საქმიანობად აქცია. ამიტომ, შეუძლებელია იმის განსაზღვრა თუ რეალურად რამდენი ბავშვია მისი მსხვერპლი, თუმცა, უდავოა, რომ ეს რიცხვი რამდენიმე ასეულ ათასს აღწევს. ბავშვთა პორნოგრაფია მრავალ მილიარდიანი ინდუსტრიაა, რომლის წლიური მოგებაც დაახლოებით 20 მილიონი დოლარია. ღია, ღრმა თუ ბნელ ვებში დაახლოებით 14 მილიონ გვერდზეა შესაძლებელი ბავშვთა პორნოგრაფიის ნახვა, სადაც ყოველკვირეულად დაახლოებით 20 000 ბავშვთა პორნოგრაფიული მასალა იდება.[71]

როგორც ჩანს, ბავშვთა პორნოგრაფიული ინდუსტრიის სარგებელი ძალიან დიდია და ინტერნეტი კიდევ უფრო ახალისებს მის ზრდას. ამ პრობლემის მასშტაბი და სერიოზულობა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. იმ ქვეყანაში, სადაც ინტერნეტზე წვდომის მაჩვენებელი მაღალია, მაღალია ინტერნეტში არსებული ბავშვთა პორნოგრაფიის რაოდენობრივი მაჩვენებელიც. ხოლო ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს ინტერნეტზე წვდომა არა აქვს, ინტერნეტის, როგორც ძალადობის ადგილის, საშიშროებაც დაბალია.[72] მიუხედავად მსგავსი სტატისტიკა, თუკი ქვეყნის

---

[69]Haasz A., Underneath It All: Policing International Child Pornography on the Dark Web, Syracuse Journal of International Law and Commerce N43, 2016, 360.

[70] Esposito L.C., Regulating the Internet: The New Battle against Child Pornography, Case Western Reserve Journal of International Law N30, 1998, 542.

[71] Leary M.G., Self Produced Child Pornography: The Appropriate Societal Response to Juvenile Self-Sexual Exploitation, Virginia Journal of Social Policy and the Law, Vol 15, N1, 2008, 8.

[72] Petit J.M., RIGHTS OF THE CHILD, Special Report on the sale of children, child prostitution and child pornography (E/CN.4/2005/78), December 2004, 24.

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ბავშვთა პორნოგრაფიის მათ შორის ინტერნეტით გავრცელების მარეგულირებელ ნორმებს ან არ არის დანერგილი პრევენციული ღონისძიებები, მაღალია ბავშვთა კომერციული სექსუალურ ექსპლუატაციის რისკი. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ინტერნეტ ბავშვთა პორნოგრაფიის რეგულირებისთვის. ეს შეიძლება იყოს საერთაშორისო დონეზე არსებული სტანდარტების თითოეული ქვეყნის კანონმდებლობაში ასახვა. ერთიანი სტანდარტის არსებობის შემთხვევაში, დამნაშავეებს წაერთმევათ შესაძლებლობა ბავშვთა პორნოგრაფიული მასალა მიიღონ ისეთი ქვეყნებიდან, სადაც ბავშვთა პორნოგრაფიისადმი შედარებით ტოლერანტული დამოკიდებულება არსებობს. ერთიანი სტანდარტის არსებობა ვერ იქნება პრობლემის აღმოფხვრის ერთადერთი გარანტია, ამიტომ აუცილებელია მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება, რომელიც კონკრეტული ქვეყნის მიერ ამ მიმართულებით გაწეულ საქმიანობას გააკონტროლებს.

ინტერნეტი არ ცნობს რომელიმე ქვეყნის საზღვრებს, იგი ტრანსნაციონალური მოვლენაა. ამიტომ, ბავშვთა პორნოგრაფიის ინტერნეტის საშუალებით გაზიარება და გავრცელებაც ცდება ერთი ქვეყნის გამოწვევას და იძენს გლობალურ ხასიათს. აქედან გამომდინარე, ინტერნეტის მეშვეობით ჩადენილ დანაშაულთან საბრძოლველად მნიშვნელოვანია ცალკეული ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია და საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ზრდა.

2. ორგანიზებული კიბერდანაშაული და ბავშვთა პორნოგრაფია

საინფორმაციო ან საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ან მათ მიმართ ჩადენილ დანაშაულს კიბერდანაშაულს უწოდებენ. მთელ მსოფლიოში, ტექნოლოგიური ინოვაციების კვალდაკვალ, კიბერდანაშაულის სწრაფი ზრდა ფიქსირდება. კიბერდამნაშავეების ქმედებებზე რეაგირება

პოლიციის უშუალო პასუხისმგებლობაა, თუმცა, კიბერდანაშაულის კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, მასზე ეფექტიანი რეაგირება რამდენიმე სიღრმისეულ პრობლემასთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ კიბერდამნაშავეები საკუთარ საქმიანობას მსხვერპლთან ანონიმური ინტერაქციის მეშვეობით წარმართავენ. შესაბამისად, მათი იდენტიფიცირება, დაკავება და დასჯა რთულია. ამასთან, კიბერდანაშაულის ასინქრონული ბუნების გამო, შესაძლებელია, მსხვერპლმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში არც იცოდეს განხორციელებული დანაშაულის შესახებ, რაც გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა. კიბერდამნაშავეები, ხშირ შემთხვევაში, ორგანიზებულად საქმიანობენ და ისინი რაციონალური, ტექნოლოგიურად განსწავლული პირები არიან. დამნაშავის იდენტიფიცირების შემთხვევაშიც კი, გეოგრაფიული შეუზღუდავობის გათვალისწინებით, ხშირად იგი პოლიციის ფაქტობრივი იურისდიქციის მიღმა რჩება. მსგავს შემთხვევათა აღმოფხვრის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი როგორც საპოლიციო, ასევე საგამოძებო სფეროში საერთაშრისო თანამშრომლობაა.

კიბერდანაშაულის სამი დიდი ჯგუფი შეიძლება გამოიკვეთოს. პირველი - „ტრადიციული“ დანაშაულები, რა დროსაც კომპიუტერი ინფორმაციის მოპოვების ან/და კომუნიკაციის საშუალებაა. მეორე - „ნამდვილი“დანაშაულები, რომელთა ჩადენაც მხოლოდ კიბერ სივრცეში ხდება და მესამე - „ჰიბრიდი“, ტრადიციული დანაშაულები, რომლებიც გაფართოვდა ინტერნეტის გამოყენებით.[73] ასეთი ჯგუფების არსებობა განაპირობებს კიბერდანაშაულის ფართო გაგებას, რომელიც მოიცავს ინტერნეტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების გამოყენებით

[73] Marcum C.D., Higgins George E., Freiburger Tina L., Ricketts, Melissa L., Policing possession of child pornography online: investigating the training and resources dedicated to the investigation of cyber crime, International Journal of Police Science & Management, Vol. 12, Number, 2010, 518.

ჩადენილ ყველა დანაშაულს.[74] აქედან გამომდინარე აშკარაა ინტერნეტ ბავშვთა პორნოგრაფიის მჭიდრო კავშირი კიბერდანაშაულთან. კერძოდ, იგი „ჰიბრიდული“ ჯგუფის კლასიკური მაგალითია.

არა უმრავლეს, მაგრამ ბევრ ქვეყანას კანონმდებლობაში დანერგილი აქვს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ მიმართული რეგულაციები. თუმცა, ეროვნულ დონეზე კანონმდებლობის დახვეწა, ინტერნეტის ტრანსნაციონალური ბუნების გამო, ვერ იქნება ეფექტიანი საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მექანიზმი „კიბერდანაშაულის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2001 წლის 23 ნოემბრის კონვენციია, რომელიც რატიფიცირებულია ევროსაბჭოს წევრი და არაწევრი 65 ქვეყნის[75] მიერ.

კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს დანაშაულად გამოაცხადონ კომპიუტერული სისტემის საშუალებით ბავშვთა პორნოგრაფიის შექმნა მისი გავრცელების მიზნით, ასევე, ბავშვთა პორნოგრაფიის შეთავაზება, ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა, გავრცელება ან გადაცემა. რაც შეეხება ასეთი მასალის მიღებასა და ფლობას, სახელმწიფოს აქვს სხვაგვარი რეგულაციის დანერგვის უფლება. აქვე განმარტებულია, რომ კონვენციის მიზნებისთვის ბავშვთა პორნოგრაფია აშკარა სექსუალური ქმედებით დაკავებული არასრულწლოვნის ან ისეთი პირის გამოსახვაა, რომელიც არასრულწლოვნად გამოიყურება. ბავშვთა პორნოგრაფიად მიიჩნევა ასევე არასრულწლოვნის რეალობასთან დაახლოებული გამოსახულება, რომელიც აშკარა სექსუალური ქმედებითაა დაკავებული. ამასთან, კონვენციით

[74] ვასმერი მ.პ., კიბერდანაშაული – აწმყო და მომავალი, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი , პირველი გამოცემა, აპრილი, 2018, 13.

[75] <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/185/signatures?p_auth=J6eSonqW> [26.05.2020]

დადგენილია რეალური არასრულწლოვნის გამოსახვასთან მიმართებით ქვეყნების ერთიანი მიდგომის სავალდებულოობა.[76]

კიბერდანაშაულთა უმრავლესობა ჩადენილია ინდივიდებისა და არა კრიმინალური ორგანიზაციების მიერ, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა სახის კიბერდანაშაულში დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფებიც მონაწილეობენ.[77]

დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფებისათვის ვაჭრობა მიმზიდველი და სარფიანი საქმიანობაა, ამიტომ ისინი ბავშვთა სექსუალურ ძალადობასა და ექსპლუატაციაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ორგანიზებული კიბერკრიმინალებისთვის ერთ-ერთ უმთავრეს ხელშემწყობ ფაქტორად ციფრული ოპერაციებით განხორციელებული ვაჭრობა მიიჩნევა. დანაშაულის დაფარვის მიზნით, კომერციული ვებგვერდები კომპლექსური გადახდის სქემებს იყენებენ. გადახდა შესაძლებელია ვირტუალური ვალუტით. იგი უფრო მეტ ანონიმურობას სთავაზობს დამნაშავეს და სირთულეებს ქმნის დანაშაულის გამოძიების პროცესში. სწორედ ამიტომ, კიბერ სივრცე ასეთი ორგანიზებული ჯგუფებისთვის ხელსაყრელ პლატფორმად იქცა. მიუხედავად ამისა, ამ დროისთვის შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა დონეზეა კიბერ დანაშაული ორგანიზებული[78].

რაც შეეხება ბავშვთა პორნოგრაფიას, რა თქმა უნდა შესაძლებელია, დამნაშავე მარტო მოქმედებდეს ბავშვთა პორნოგრაფიული ვებგვერდების შექმნისა და მასალის განთავსების დროს, თუმცა ასეთი მასალის გაცვლა უმრავლეს

[76] კიბერდანაშაულის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხ. 9.
[77] Müller T., Transnational Organised Crime and the Sale of Children, Child Prostitution, and Pornography, in: Internationa Law and Transnational Organized Crime, Edited by Rehauck P., Peterke S., oxford university press, 2016, 289, 296.
[78] Tropina T., Organized Crime in Cyberspace, Transcript Verlag, 2013, 54.

შემთხვევაში ჯგუფური ქმედებაა.[79] ზემოთჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე, ინტერნეტ ბავშვთა პორნოგრაფია ორგანიზებული დანაშაულის სახეს იღებს.[80] სარგებლის მიღების მიზნით იქმნება დანაშაულებრივი ქსელები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ბაზრის ერთ მხარეს დგანან ადამიანები, რომელთა ინტერესი კომერციული მოგებაა, მეორე მხარეს კი ისინი, ვისაც სექსუალურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სურთ. ბაზრის საზღვრები აქცევს ინტერნეტ ბავშვთა პორნოგრაფიას ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულად[81], რაც თავის მხრივ განაპირობებს ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობას.

V. ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ საერთაშორისო საპოლიციო ბრძოლა

1. საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობა ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში

კიბერდანაშაულთან მჭიდრო კავშირმა ბავშვთა პორნოგრაფია ტრანსნაციონალურ გამოწვევად აქცია. სწორედ ამიტომ, აღნიშული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა არსებითად დამოკიდებულია სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობაზე.

სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის თანამშრომლობის ეფექტიანობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში აუცილებელია, ქვეყნებს, კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებით მსგავსი სამართლებრივი რეგულაციები ქონდეთ. ერთიანი სამართლებრივი ჩარჩოს

[79] Gercke M., The Globalization of Crime a Transnational Organized Crime Threat Assessment, United Nations Office on Drugs and Crime, 2010, 211.
[80] Petit J.M., RIGHTS OF THE CHILD, Special Report on the sale of children, child prostitution and child pornography (E/CN.4/2005/78), December 2004, 8.
[81] Gercke M., The Globalization of Crime a Transnational Organized Crime Threat Assessment, United Nations Office on Drugs and Crime, 2010, 216.

ფორმირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების არსებობას.

ზემოთ განხილული საერთაშორისო პრაქტიკა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ბავშვთა პორნოგრაფიას ჯერ კიდევ განსხვავებულად არეგულირებს. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვთა პორნოგრაფიად მიიჩნევა ისეთი მასალაც, რომელზეც ვირტუალური ბავშვია გამოსახული; ქვეყნების ნაწილში დეკრიმინალიზებულია ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობა ან/და ყურება; იურისდიქციის მიხედვით განსხვავებული მიდგომაა თუ ვინ ითვლება ბავშვად ან რამდენია სექსუალური სიმწიფის ასაკი. ყოველივე ეს ართულებს საერთაშორისო დონეზე კონსესუსის მიღწევას და დაბრკოლებას უქმნის ეფექტიან საპოლიციო თანამშრომლობასაც.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართულ ყველა საერთაშორისო კონფერენციაზე ჟღერს საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერების მოწოდება. საპოლიციო თანამშრომლობა შეიძლება განხორციელდეს როგორც ცალკეულ ქვეყნებთან, ასევე საპოლიციო ორგანიზაციებთან. ცალკეულ ქვეყნებთან თანამშრომლობის პროცესში განსაკუთრებული მისია აკისრიათ პოლიციის ატაშეებსა და მეკავშირე ოფიცრებს, რაც შეეხება საპოლიციო ორგანიზაციებს, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანია ინტერპოლისა და ევროპოლის როლი.

2. საერთაშორისო საპოლიციო ორგანიზაციების როლი ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში

2.1. ინტერპოლი, როგორც ბავშვთა პორნოგრაფიასთან მებრძოლი სუბიექტი

დანაშაულის გამოძიების პროცესში საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობის განხილვის მიზნით სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კონგრესი პირველად ჯერ კიდევ 1914 წელს გაიმართა

მონაკოში და მას დაახლოებით 24 ქვეყნის სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელი ესწრებოდა. სწორედ ამ კონგრესზე შეიმუშავეს საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გეგმა.[82] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მონაკოს კონგრესმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოგვიანებით კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში. 1923 წელს სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კონგრესი ვენაში შედგა და 22 ქვეყნის წარმომადგენლის გადაწყვეტილებით შეიქმნა მუდმივმოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია - კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო კომისია, რომელსაც 1956 წელს მიღებული წესდების (კონსტიტუციის) საფუძველზე კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია - ინტერპოლი ეწოდა. წესდებით გათვალისწინებული დებულებები გახდა ორგანიზაციის მთავრობათაშორის საერთაშორისო ორგანიზაციად აღიარების საფუძველი.

ინტერპოლის საქმიანობის ძირითადი სამართლებრივი საფუძველი სწორედ რომ წესდებაა. მისი მეორე მუხლი განსაზღვრავს ორგანიზაციის საქმიანობის მიზნებს. ესენია: სხვადასხვა ქვეყნების კრიმინალური პოლიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა ქვეყნის შიდა კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპების შესაბამისად; ისეთი სპეციალური დანაყოფების შექმნა და განვითარება, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის პრევენციასა და აღკვეთას.[83] აქედან გამომდინარე, ინტერპოლი არის გლობალური საკომუნიკაციო ქსელი, რომელსაც წევრი ქვეყნები იყენებენ ერთმანეთთან და გენერალურ სამდივნოსთან მონაცემების გასაცვლელად და რომლის მანდატიც მხოლოდ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობაზე ვრცელდება.[84] ინტერპოლი ხელს უწყობს

[82] Галенская Л. Н., Международная борьба с преступностью, 1972, 139.
[83] The Constitution of the ICPO-INTERPOL, 1956, Art. 2.
[84]Ling C.W., POLICING INTERPOL: The Commission for the Control of Interpol's Files and the Right to a Remedy, International Organizations Law Review 7, 2010, 383.

საპოლიციო თანამშრომლობას მსოფლიო მასშტაბით, მაშინაც კი როდესაც ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს.[85] მისი წესდებით მკაცრადაა განსაზღვრული, რომ ორგანიზაციის საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ძირითად უფლებებს და მას ეკრძალება ნებისმიერი პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური ან რასობრივი ხასიათის ჩარევა ან საქმიანობა.[86]

დანაშაულის პრევენციისა და აღკვეთის ეფექტიანობისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ ცალკეული სუბიექტი ბრძლაში მარტო არ აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე, ინტერპოლს სჭირდება მუდმივი და აქტიური თანამშრომლობა წევრ სახელმწიფოებთან. თანამშრომლობისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებათ ეროვნულ ცენტრალურ ბიუროებს. ინტერპოლის წესდების 32-ე მუხლის შესაბამისად, თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, გამოყოს ორგანო, რომელიც იმოქმედებს, როგორც ეროვნული ცენტრალური ბიურო და რომელიც უზრუნველყოფს კავშირის დამყარებას, როგორც უცხო ქვეყნის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროებთან, ასევე სამართალდამცავ ორგანოებთან და ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთან.

დღეისათვის ინტერპოლი მსოფლიოს უდიდესი საპოლიციო ორგანიზაციაა და იგი აერთიანებს 194 წევრ სახელმწიფოს.[87] წევრი ქვეყნების რაოდენობის ზრდა სასიხარულო და მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სამართალდაცვით სფეროში ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობა და თანამშრომლობა ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთან, დანაშაულის ჩადენის ხერხებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდების ინტერპოლის საინფორმაციო ბაზაში თავმოყრა, დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებული მონაცემების

---

[85] Fink N.C., International Criminal Police Organization (INTERPOL), in: Meeting the Challenge, International Peace Institute, 2012, 89.

[86] The Constitution of the ICPO-INTERPOL, 1956, Art. 3.

[87] <https://www.interpol.int/Who-we-are/Member-countries> [03.06.2020]

სწრაფად გაცვლის შესაძლებლობას იძლევა, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის მაჩვენებელზე.

საქართველო ინტერპოლის წევრი 1993 წელს[88] გახდა და წევრობის დღიდან არა ერთი ურთიერთთანამშრომლობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გამოიცა. ინტერპოლთან თანამშრომლობის გაუმჯობესების პროცესში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2018 წლის აპრილში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ფარგლებში სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის ფორმირება[89]. სწორედ ამ ცენტრში ფუნქციონირებს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო, რომელიც ინტერპოლის წესდებისა (კონსტიტუცია) და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თანამშრომლობს ინტერპოლთან და საზღვარგარეთის სახელმწიფოების ეროვნულ ცენტრალურ ბიუროებთან, საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებთან და შესაბამის სამსახურებთან. ინტერპოლთან საკონტაქტო პუნქტის ფუნქციას ცენტრში შექმნილი 24/7 განყოფილება ახორციელებს.[90]

2.2. ბავშვთა პორნოგრაფიასთან ბრძოლის ღონისძიებები ინტერპოლის ფარგლებში

ინტერპოლის მიერ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას მისი საქმიანობის ისეთი ძირითადი მიმართულებები განაპირობებს, როგორიცაა გლობალური საკომუნიკაციო საპოლიციო მომსახურების გაწევა, მონაცემთა ბაზით პოლიციის უზრუნველყოფა და პოლიციელთა სწავლება-განვითარება. პირველი მიმართულება მოიცავს ისეთი საკომუნიკაციო სისტემის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოს მასშტაბით პოლიციისათვის საჭირო

[88] <https://www.interpol.int/Who-we-are/Member-countries/Europe/GEORGIA> [03.06.2020]
[89] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 2 აპრილის №46 ბრძანება, მუხ. 1.1.
[90] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №1062 ბრძანება

ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში გადაცემას. აღნიშნული სისტემა ცნობილია, როგორც I-24/7. მეორე მიმართულების შედეგად ინტერპოლის ბაზაში არსებული მონაცემებით სარგებლობა შეუძლიათ წევრ სახელმწიფოებს. მესამე მიმართულება კი გულისხმობს სწავლების გლობალური ცენტრის არსებობას, რომელიც რეგულარული სასწავლო პროგრამებით, კვლევებითა და სპეციალური ექსპერტების მონაწილეობით მიზნად ისახავს ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობების გაძლიერებას.[91]

ინტერნეტ ბავშვთა პორნოგრაფია, ტრანსნაციონალური და ხშირად ორგანიზებული ბუნებიდან გამომდინარე, ინტერპოლის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ორგანიზაციამ, ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, წლების განმავლობაში, არა ერთი მექანიზმი განავითარა. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე მორეაგირე სპეციალიზებული ჯგუფის ფორმირება, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ მიზნით წევრებს შორის ინფორმაციის სწრაფი გაცვლა და თანამშრომლობის გაღრმავებაა. სპეციალიზებული ჯგუფი დაახლოებით 40 ქვეყნის 100 პოლიციელს აერთიანებს.[92] სამწუხაროდ, ამ რიგებში საქართველოს წარმომადგენელი არ ჰყავს.[93] მართალია, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის სხვადასხვა დანაყოფი ინტერპოლთან აქტიურად თანამშრომლობს ნებისმიერ დანაშაულზე ოპერატიულ-სამძებრო თუ საგამოძიებო ღონისძიებების გატარების მიზნით, თუმცა ბავშვთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე მორეაგირე სპეციალიზებული ჯგუფში საქართველოს წარმომადგენლის არსებობა იქნებოდა ბავშვთა პორნოგრაფიის

[91] <https://www.police.gov.hk/offbeat/908/eng/n12.htm> [03.06.2020]
[92] Sadoff D.A., How Law Enforcement Cooperation Abroad Is Pivotal to Sustainable Development at Home, oston University International Law Journal, N2, 2017, 340.
[93] იხ: დანართი.

წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისა და ამ მიზნით ინტერპოლის წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის სწრაფი გაცვლისა და თანამშრომლობის გაღრმავების მყარი გარანტი.

ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში ინტერპოლის საქმიანობა ძირითადად მსხვერპლის იდენტიფიკაციაზეა ორიენტირებული. ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მსხვერპლი ბავშვის დადგენა მისი შემდგომი ძალადობისგან ან სექსუალური ექსპლუატაციისგან დაცვის ერთგვარი გარანტია. ასევე, ხშირად მოძალადე ან ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვთა პორნოგრაფიის დამზადებასა და გავრცელებას, მჭიდრო კავშირშია მსხვერპლთან. ამიტომ, მხვერპლის იდენტიფიკაციით იზრდება მათი გამოაშკარავების შესაძლებლობა.

მსხვერპლის იდენტიფიკაციის მიზნით, ინტერპოლი, 2009 წლიდან იყენებს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის მონაცემთა ბაზას, რომელშიც ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა - ბავშვთა პორნოგრაფია ინახება. სპეციალური პროგრამის საშუალებით შესაძლებელი ხდება მასალაზე გამოსახულ მსხვერპლს, მოძალადესა და ადგილმდებარეობას შორის კავშირის განსაზღვრა და იმის გარკვევა, არის თუ არა კონკრეტული ფოტო ან ვიდეო მასალა სხვა ქვეყნის სამართალდამცავი უწყების მიერ უკვე გამოკვლეული. აღსანიშნავია, რომ ბაზაზე დაშვება დაახლოებით 60 ქვეყნის სპეციალიზებულ გამომძიებელს აქვს. ამ ბაზაში დაახლოებით 1,5 მილიონი ფოტო და ვიდეო ინახება, რომელთა წყალობითაც დაახლოებით 19,481 მსხვერპლისა და 8,897 მოძალადის იდენტიფიკაცია მოხდა.[94]

[94] <https://www.interpol.int/Crimes/Crimes-against-children/International-Child-Sexual-Exploitation-database> [11.06.2020]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბავშვთა პორნოგრაფია მჭიდრო კავშირშია კიბერ დანაშაულთან. სწორედ ამიტომ, ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი აკისრია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს. აღნიშნული დანაყოფი, როგორც ოპერატიულ-სამძებრო ასევე საგამოძიებო მოქმედებების დროს აქტიურად თანამშრომლობს ინტერპოლთან. საქართველო იყო იმ ქვეყნების რიგებში, რომლებსაც ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის მონაცემთა ბაზაზე აქვთ დაშვება. ამჟამად ჩვენი ქვეყნის სამართალდამცავი უწყებები ამ ბაზაზე დაშვებით არ სარგებლობენ, თუმცა როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, ყველა ძირითადი მოსამზადებელი საქმიანობა უკვე განხორციელებულია და უახლოეს მომავალში საქართველოს კვლავ აღუდგება ბაზაზე დაშვების უფლება.[95] ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიების მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნული პროცესი დაჩქარდეს.

ბავშვთა პორნოგარფიის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ ერთი იარაღი სპეციალური ცირკულარის გამოცემაა. ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობის მოთხოვნით, ინტერპოლის გენერალური სამდივნო გამოსცემს შუამდგომლობის შესაბამისი ფერის სპეციალურ ნიშანს – ცირკულარს, რომელიც ყველა წევრი სახელმწიფოსთვის ხდება ცნობილი. ეს სისტემა უზრუნველყოფ ეროვნულ ცენტრალურ ბიუროსა და გენერალურ სამდივნოს შორის ინფორმაციის სწრაფ გაცვლას. ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში ძირითადად გამოიცემა ლურჯი და წითელი ცირკულარი[96]. ლურჯი ცირკულარი პირის იდენტიფიკაციის, კრიმინალური

[95] იხ: დანართი.

[96] Calcara G., Role of INTERPOL and Europol in the Fight against Cybercrime, with Particular Reference to the Sexual Exploitation of Children Online and Child Pornography, Masaryk University Journal of Law and Technology, N1, 2013, 24.

წარსულის ან ადგილმდებარეობის დადგენის, წითელი კი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის დაკავებისა და ექსტრადიციის მიზნით გამოიცემა.

აღნიშული დანაშაულის წინააღმდეგ გლობალურ ბრძოლაში მნიშვნელოვანია ასევე ინტერნეტ პროვაიდერის მიერ ბავშვთა პორნოგრაფიის შემცველი ვებგვერდების დაბლოკვა. ინტერპოლმა შექმნა ასეთი გვერდების სია და იგი ხელმისაწვდომია ყველა ეროვნული ცენტრალური ბიუროსთვის. ვებგვერდი ამ სიაში ხვდება თუკი იგი შეიცავს პორნოგრაფიას, რომელზეც რეალური ბავშვია გამოსახული, ეს ბავშვი 13 წელს მიუღწეველია ან აღიქმება ასეთად, ან ძალადობა თავისი შინაარსით მძიმეა.[97] საქართველოს სამართალდამცავი უწყებებიც უზრუნველყოფენ მსგავსი ვებგვერდების დაბლოკვას. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო კიბერდანაშაულის გამოძიების პროცესში გამოვლენილი ვებგვერდების ანალიზისას ადგენს პორნოგრაფიის შემცველი ვებგვერდების სიას, რომლებზე წვდომაც იბლოკება.[98]

ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ოპერაციაა „vico“, რომელიც ცალკეული ქვეყნების ინტერპოლთან თანამშრომლობით განხორციელდა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი „ნადირობა ადამიანზე“, როდესაც ინტერპოლის თითქმის ყველა წევრი სახელმწიფო ეძებდა ერთ ადამიანს.[99]

2004 წელს გერმანიის პოლიციამ აღმოაჩინა ათასობით ფოტო, რომელზეც ბავშვთან სექსუალურ ქმედებაში ჩართული მამაკაცი იყო გამოსახული, თუმცა მისი სახე ხელოვნურად იყო დაფარული. აღნიშნული ფოტოები წლების განმავლობაში ინტერპოლის მონაცემთა ბაზაში ინახებოდა. ანალიზის შედეგად ცნობილი გახდა, რომ ყველა ფოტოზე გამოსახული მოძალადე ერთი

[97] <https://www.interpol.int/Crimes/Crimes-against-children/Blocking-and-categorizing-content> [17.06.2020]
[98] იხ: დანართი.
[99] <https://www.itu.int/en/cop/case-studies/Documents/Interpol.pdf> [17.06.2020]

და იგივე პიროვნება იყო. 2007 წელს გერმანიის ფედერალური კრიმინალური პოლიციისა და ინტერპოლის ბავშვთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე მორეაგირე სპეციალიზებული ჯგუფის თანამშრომლობით, სპეციალური პროგრამის გამოყენებით, შესაძლებელი გახდა დაფარული სახის ნაკვთების გამოაშკარავება, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი მოძალადის ვინაობის დასადგენად. ამის შემდეგ გენერალურმა სამდივნომ უჩვეულო გზით გადაწყვიტა ოპერაციის წარმართვა და მოძალადის ფოტო გამოაქვეყნა ინტერპოლის გვერდზე, იგი გაავრცელეს ასევე ტელევიზიებითა და გაზეთებით, თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ინტერპოლის მიერ ეროვნულ ცენტრალურ ბიუროებთან თანამშრომლობის დაწყებიდან 3 დღეში გაირკვა გამოსახული პირის ვინაობა, წარმომავლობა, დაბადების თარიღი, პასპორტის ნომერი, დასაქმების ადგილი. მოძალადე აღმოჩნდა ქრისტოფერ პოლ ნეილი, მეტსახელად „ვიკო“, რომელიც სამხრეთ კორეის ერთ-ერთ სკოლაში ინგლისურს ასწავლიდა. პირის იდენტიფიკაციის შემდეგ გენერალურმა სამდივნომ მის მიმართ წითელი ცირკულარი გამოსცა. რის შედეგადაც იგი მალე დააკავეს.[100] ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც წითელი ცირკულარი გამოიცა ისეთი პირის მიმართ, რომელსაც ბრალდებულის სტატუსიც კი არ ჰქონია.

საპოლიციო მიზნებიდან გამომდინარე, ეს ოპერაცია ნამდვილად იყო წარმატებული, თუმცა სამართლებრივი თვალსაზრისით, წითელი ცირკულარით იმ პირის ძებნა, რომელსაც ბრალიც კი არ წარდგენია, დადგენილი პროცედურის დარღვევად უნდა შეფასდეს.

2.3. ევროპოლი, როგორც ბავშვთა პორნოგრაფიასთან მებრძოლი სუბიექტი

[100] <https://www.itu.int/en/cop/case-studies/Documents/Interpol.pdf> [17.06.2020]

ევროპის მასშტაბით საპოლიციო თანამშრომლობას ევროპის პოლიციის სამსახური - ევროპოლი ახორციელებს. მისი დაარსების სამართლებრივი საფუძველი ევროპის კავშირის შექმნის შესახებ მაასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულების k.1(9) პუნქტშია მოცემული. აღნიშნულიდან გამომდინარე, 1995 წელს მიღებულ იქნა ევროპოლის შესახებ კონვენცია, თუმცა ევროპოლი ოფიციალურად 1999 წელს შეუდგა მუშაობას. ვინაიდან კონვენციის ფარგლებში ეფექტურად მუშაობა სახელმწიფოთა რატიფიკაციაზე იყო დამოკიდებული, მოგვიანებით ევროპოლის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები შეიცვალა, ევროპოლის კონვენცია ჩაანაცვლა 2009 წელს ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებულმა 2009/371/JHA გადაწყვეტილებამ.[101] აღნიშნული სეკუნდარული სამართლებრივი აქტი ყოველგვარი რატიფიკაციის გარეშე მოქმედებდა.[102]

ევროპოლის დაარსების შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების მე-3 მუხლში აღნიშნულია ევროპოლის საქმიანობის ძირითადი ამოცანები. კერძოდ, ევროპოლის ამოცანაა წევრ ქვეყნებს შორის საპოლიციო თანამშრომლობის მხარდაჭერა და გაძლიერება, რათა შესაძლებელი იყოს ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმის ან სხვა ისეთი მძიმე დანაშაულების პრევენცია და აღკვეთა, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ორი ან მეტი წევრი ქვეყნის ინტერესზე.[103] ერთ-ერთი ასეთი მძიმე დანაშაულია ტრეფიკინგი ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია კი მოიცავს მათ შორის ბავშვთა პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადებას, გაყიდვას ან სხვაგვარ გავრცელებას.[104] სწორედ ეს არის პირდაპირი საფუძველი დასკვნისთვის, რომ ევროპოლის მანდატი ვრცელდება ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ

[101] European Police Office (Europol): Past, Present and Future, Klimek Libor, Czech Yearbook of International Law, vol. 5., Juris Publishing, 2014, 210.
[102] ჯიშკარიანი ბ, ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარლებში, თბილისი 2013, 212.
[103] Council Decision of 6 April 2009 establishing the European Police Office (Europol) (2009/371/JHA), Art. 3.
[104] იქვე: ANNEX (c).

ბრძოლაზეც. ასევე, ბავშვთა პორნოგრაფიის ორგანიზებული და ტრანსნაციონალური ბუნების განვითარება, თავის მხრივ, არის არაპირდაპირი საფუძველი აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპოლის მანდატისა, რადგან ევროპოლის მიზანი ზოგადად ისეთი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაა, რომელიც გავლენას ახდენს რამდენიმე წევრი ქვეყნის ინტერესზე.

2.4. ბავშვთა პორნოგრაფიასთან ბრძოლის ღონისძიებები ევროპოლის ფარგლებში

ევროპოლის მოქმედების ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თითოეულ წევრ ქვეყანაში არსებული, ევროპოლთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი საკონტაქტო პუნქტი. სწორედ ამიტომ, ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ასეთი პუნქტის არსებობა. ევროპოლსა და ეროვნულ საკონტაქტო პუნქტს შორის ურთიერთობა 24/7 მიმდინარეობს. თითოეული ეროვნული საკონტაქტო პუნქტი ვალდებულია ევროპოლს მიაწოდოს დასახული ამოცანის მიღწევისთვის საჭირო, მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, პასუხი გასცეს ევროპოლის მიერ ინფორმაციის, რაიმე მონაცემის ან რჩევის მოთხოვნას.[105]

ევროპოლსა და ეროვნულ საკონტაქტო პუნქტებს შორის კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ მეკავშირე ოფიცრებს. თითოეული ქვეყანა ევროპოლში მიავლენს ერთ მეკავშირე ოფიცერს. მეკავშირე ოფიცერი ვალდებულია ევროპოლს მიაწოდოს თავისი ქვეყნის ეროვნული საკონტაქტო პუნქტიდან მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ან მოთხოვნა, ასევე თავის ქვეყანას შეატყობინოს ევროპოლის მოთხოვნის არსი. მეკავშირე ოფიცერი

[105] იქვე: Art. 8.

ხელს უწყობს ასევე ეროვნულ საკონტაქტო პუნქტსა და სხვა ქვეყნის მეკავშირე ოფიცრებს შორის ინფორმაციის გაცვლას.[106]

აღსანიშნავია, რომ ევროპოლთან ევროკავშირის წევრი ქვეყნების გარდა, შეთანხმების საფუძველზე თანამშრომლობენ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიც.[107] ამის ნათელი მაგალითია საქართველო-ევროპოლის თანამშრომლობა, რომელიც 2017 წლის 4 აპრილს ევროპოლსა და საქართველოს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებით დაიწყო.

შეთანხმების მიზანია საქართველოსა და ევროპოლს შორის თანამშრომლური ურთიერთობების დამყარება ტრანსნაციონალური დანაშაულის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მხარდაჭერის მიზნით, ოპერატიული და არაოპერატიული ინფორმაციის უსაფრთხო კომუნიკაციის არხებით გაცვლის გზით.[108] ინფორმაციის გაცვლა ძირითადად ხორციელდება ევროპოლსა და ეროვნულ საკონტაქტო პუნქტს შორის კვირაში შვიდი დღე ოცდაოთხი საათის განმავლობაში. ევროპოლთან საკონტაქტო პუნქტი ფუნქციონირებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის (მთავარი სამმართველო) ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის სამმართველოს ევროპოლის ეროვნული განყოფილებაში.[109]

აღნიშნულ პუნქტსა და ევროპოლს შორის იცვლება მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომელიც შეგროვებულია, შენახულია და გადაცემულია

---

[106] იქვე: Art. 9.

[107] European Police Office (Europol): Past, Present and Future, Klimek Libor, Czech Yearbook of International Law, vol. 5., Juris Publishing, 2014, 220.

[108] ევროპოლსა და საქართველოს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, მუხ.1.

[109] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს №71 ბრძანება, მუხ. 13.

გადამცემის სამართლებრივი სისტემის შესაბამისად და არ არის მოპოვებული ადამიანის უფლებათა დარღვევით. აღსანიშნავია, რომ კონკრეტული ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ მიზნით, რა მიზნითაც იგი თავდაპირველად იქნა გადაცემული. აღნიშნული შეზღუდვა არ მოქმედებს გადამცემის მიერ განსხვავებული მიზნით გამოყენებაზე თანხმობის გაცემის შემთვევაში.

ინფორმაციის გაცვლის გარდა, ევროპოლთან თანამშრომლობამ შეიძლება მოიცვას სპეციალიზებული ცოდნის, სტრატეგიული ანალიზის შედეგების, სისხლის სამართლის საგამოძიებო პროცედურებისა და დანაშაულის თავიდან აცილების მეთოდების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, ასევე სპეციალიზებულ სწავლებებში მონაწილეობა.[110]

თანამშრომლობის სფეროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა უსაფრთხოებას. პირველ რიგში, კონკრეტულ მონაცემზე წვდომა უნდა ჰქონდეს მხოლოდ უფლებამოსილ პირს და მონაცემთა გაცვლა უნდა ხდებოდეს უსაფრთხო კომუნიკაციის არხით. სწორედ ინფორმაციის გაცვლისთვის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის შექმნისა და ფუნქციონირების რეგულირების მიზნით ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროპოლს შირის ურთიერთგაგების მემორანდუმს[111].

სამართალდაცვით სფეროში საქართველოსა და ევროპოლს შორის თანამშრომლობის გაფართოების სურვილმა განაპირობა გადაწყვეტილების მიღება, რომლის თანახმადაც საქართველო, 2018 წლიდან უკვე ევროპოლშიც მიავლენს მეკავშირე ოფიცერს, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს,

[110] Council Decision of 6 April 2009 establishing the European Police Office (Europol) (2009/371/JHA), Art. 5.

[111] ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე.

ევროპოლსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის კონტაქტების მხარდაჭერასა და ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობაზე.[112]

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპოლის იურისდიქცია ფართოა. 2011/93/EU ევრო დირექტივის მე-17 მუხლის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი იურისდიქციის გავრცელება ისეთ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია მათ ტერიტორიაზე ან მათი მოქალაქის მიერ. აქედან გამომდინარე ევროპოლსაც აქვს უფლება საკუთარი იურისდიქცია გაავრცელოს ევროკავშირს ფარგლებს გარეთ, თუ დამნაშავე ევროკავშირის მოქალაქეა. აღნიშნული ასევე ხელს უწყობს ისეთი შემთხვევის პრევენციასაც, როდესაც დამნაშავე, რომელიც ევროკავშირის მოქალაქეა, პასუხისმგებლობისთვის თავის არიდების მიზნით, გადადის ევროკავშირის არა წევრ ისეთ ქვეყანაში სადაც არ არსებობს ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის სათანადო სამართლებრივი რეგულაციები.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპოლის კლასიკური modus operandi მოიცავს ინფორმაციის მიღებას, შენახვას, ანალიზს, დამუშავებასა და გაცვლას. ასევე სპეციალიზებული ცოდნის, ზოგადი ვითარების შესახებ ანგარიშების, სტრატეგიული ანალიზის შედეგების, სისხლის სამართლის საგამოძიებო პროცედურების, დანაშაულის თავიდან აცილების მეთოდების შესახებ ინფორმაციის გაცვლას. ევროპოლი ეხმარება შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს გამოძიების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს მათ გამოძების დაწყების შუამდგომლობით,[113] რადგან მას არ აქვს გამოძების დამოუკიდებლად ჩატარების უფლებამოსილება.[114] ყველა საჭირო ინფორმაცია

[112] მეკავშრეობის შეთანხმება საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის, მუხ. 2.
[113] Council Decision of 6 April 2009 establishing the European Police Office (Europol) (2009/371/JHA), Art. 4.
[114] Müller T., Transnational Organised Crime and the Sale of Children, Child Prostitution, and Pornography, in: Internationa Law and Transnational Organized Crime, Edited by Rehauck P., Peterke S., oxford university press, 2016, 496.

ინახება ევროპოლის საინფორმაციო სისტემაში და მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ევროპოლის ამოცანების შესრულების ფარგლებში.[115]

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ევროპოლის ექსპერტთა და ანალიტიკოსთა საქმიანობა. ისინი იკვლევენ სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფების სამოქმედო სქემებს, მათთვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ მახასიათებლებს, ახდენენ დამნაშავეთა იდენტობების გაშიფვრას, ადგენენ დოკუმენტებს, რომლებშიც თავმოყრილია ევროპოლთან თანამშრომლობით ჩატარებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციები და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტიზისა და ანალიზის პროცესში მონაცემთა უსაფრთხოება მაქსიმალურად იყოს დაცული, ამიტომ მხოლოდ განსაზღვრულ ექსპერტსა და ანალიტიკოსს აქვს წვდომა კონკრეტულ ფაილზე.[116] ამას ემსახურება ასევე წევრ ქვეყნებს შორის ინფორმაციის მხოლოდ დაცული საინფორმაციო არხებით გაცვლის შესაძლებლობა.

ევროპოლის modus operandi ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვადასხვაგვარია. იგი საკმაოდ აქტიურად მონაწილეობს ონლაინ ბავშვთა ექსპლუატაციის წინააღმდე მიმართულ ღონისძიებებში. მაგალითად ის, ინტერპოლთან ერთად, არის ორგანიზაცია VGT-ს წევრი, რომელიც აერთიანებს მსოფილო სამართალდამცავ უწყებებს ონლაინ ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე, ევროპოლი ახორციელებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც იდენტიფიცირდება და იბლოკება ბავშვთა პორნოგრაფის შემცველი ვებგვერდები. ევროპოლის ანალიტიკური სისტემის ფარგლებში მოქმედებს AP Twins ინფორმაციის დამუშავების სისტემა, რომელიც ორიენტირებულია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და

[115] ჯიშკარიანი ბ, ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარლებში, თბილისი 2013, 214.
[116] International Police Cooperation, Emerging issues, theory and practice, Edited by Lemieux F., Willan Publishing 2010, 152-155.

ძალადობის ყველა ფორმის პრევენციასა და აღკვეთაზე, მათ შორის ბავშვთა პორნოგრაფიაზე.[117]

ონლაინ ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში მეტად მნიშვნელოვანია ევროპოლის ფარგლებში არსებული კიბერდანაშაულის ცენტრის (EC3) როლი. სწორედ ამ ცენტრის მონაწილეობით განხორციელდა 2020 წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ოპერაცია კიბერდანაშაულის წინააღმდეგ. კერძოდ, ჰოლანდიის, გერმანიისა და აშშ-ს სამართალდამცავი უწყებებისა და ევროპოლის კიბერდანაშაულის ცენტრის თანამშრომლობით ჩატარდა ოპერაცია ვებგვერდ DarkScandals-ის წინააღმდეგ. აღნიშნული ვებგვერდი ხელმისაწვდომი იყო, როგორც ბნელ ასევე ღია ვებში და განთავსებული იყო მხოლოდ ძალადობრივი სექსუალური კავშირის ამსახველი ვიდეო მასალა. მომხმარებელს აღნიშნულ ვიდეოზე წვდომისთვის ან კრიპტოვალუტით უნდა გადაეხადა გარკვეული თანხა, ან თავად აეტვირთა მსგავსი ვიდეო. საპოლიციო თანამშრომლობის შედეგად გამოკვლეულ იქნა ასობით ფაილი და 2020 წლის 9 მარტს, დაკავებულ იქნა აღნიშნული ვებგვერდის ადმინისტრატორი.[118]

ევროპოლთან თანამშრომლობის ეფექტიანობის კიდევ ერთი მაგალითია უნგრეთის სამართალდამცავი უწყებების მიერ გახსნილი დანაშაული, რომელშიც ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის ბნელ ვებში გავრცელების უკან საექთნო სკოლის მასწავლებელი და მისი პარტნიორი იყვნენ. კერძოდ, 2019 წელს ჩატარებული გამოძების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის პარტნიორი ძალადობდა მათ საერთო შვილსა და მასწავლებლის დიშვილზე. მასწავლებელი კი სკოლის მოსწავლეებს უღებდა სექსუალური ხასიათის ფოტოებს. წყვილი ძალადობრივ მასალას წლების განმავლობაში ავრცელებდა

[117] <https://www.europol.europa.eu/crime-areas-trends/europol-analysis-projects> [11.07.2020]
[118] <https://www.europol.europa.eu/newsroom/news/dark-web-child-abuse-administrator-of-darkscandals-arrested-in-netherlands> [11.07.2020]

ბნელი ვების საშუალებით. ევროპოლის როლი აღნიშნულ ოპერაციაში გამოიხატებოდა საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ანალიზში, ინფორმაციის ქვეყნებს შორის დაცული საინფორმაციო არხით გავრცელებასა და მსხვერპლთა და დამნაშავეთა იდენტიფიკაციის პროცესში.[119]

„იკარუსი“ 26 ქვეყნისა და ევროპოლის თანამშრომლობით ჩატარებული კიდევ ერთი მასშტაბური ოპერაციაა, რომელიც ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის გამავრცელებელი ვებგვერდის წინააღმდეგ განხორციელდა. ოპერაციის შედეგადაც 22 ქვეყნის მასშტაბით მოქმედი 269 სავარაუდო დამნაშავე აღმოაჩინეს, მათგან 112 კი დააკავეს. ძირითადი სამიზნე ის პირები იყვნენ, რომლებიც აზიარებდნენ ჩვილებისა და მცირეწლოვნების გაუპატიურების ან სხვაგვარი სექსუალური ძალადობის ამსახველ ვიდეო მასალას. ეს იყო ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპოლის კოორდინაციით განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ოპერაცია. თავად ევროპოლის როლი მონაცემთა დამუშავებასა და დაცული საკომუნიკაციო არხებით ინფორმაციის გაცვლის, ასევე ციფრული ექსპერტიზის პროცესში გამოიხატა.[120]

საქართველო ევროპოლის აქტიური პარტნიორია. მეტად ეფექტიანია მათი თანამშრომლობაც. ამის უტყუარი მაგალითი ბავშვთა პორნოგრაფიის ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური დანაშაულებრივი ქსელის გამოვლენაა, რომელიც უპრეცედენტოა საქართველოს მასშტაბით და ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური მსოფლიო დონეზე.

ერთ-ერთ ბავშვთა პორნოგრაფიის საქმეზე ავსტრალიაში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში კვალი იკვეთებოდა მათ შორის საქართველოშიც.

---

[119] <https://www.europol.europa.eu/newsroom/news/child-abuse-nursery-school-teacher-and-her-partner-to-be-prosecuted-in-hungary> [11.07.2020]

[120] <https://www.europol.europa.eu/newsroom/news/joint-action-in-22-european-countries-against-online-child-sexual-abuse-material-in-internet> [11.07.2020]

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემდგომი საპოლიციო თანამშრომლობისა და მონაცემთა დაცული არხით გაცვლის თხოვნით, ავსტრალიის მეკავშირე ოფიცერმა ევროპოლის საინფორმაციო არხით მიმართა საქართველოს სამართალდამცავ უწყებებს. საპოლიციო თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, გენერალური პროკურატურის, ევროპოლის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრალიის სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, არასრულწლოვნის ვაჭრობისა და არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადება-გასაღების ქსელი გამოავლინეს და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 11 წევრი დააკავეს, მათ შორის პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადებაში ჩაბმული არასრულწლოვანი ბავშვების მშობლები. როგორც გამოძიების მასალებიდან იკვეთება დაკავებულ აშშ-ის და ავსტრალიის მოქალაქეებს, თბილისში, ნაქირავებ ბინებში კონსპირაციულად მოწყობილი ჰქონდათ ფოტოსალონები და უცხოეთში რეალიზაციის მიზნით არასრულწლოვნების გამოსახულების შემცველ პორნოგრაფიულ ნაწარმოებს ამზადებდნენ. დანაშაულებრივ საქმიანობაში, მშობლების თანხმობით, ჩაბმული იყო 8-დან 14 წლამდე ასაკის 10-მდე არასრულწლოვანი გოგონა.[121]

საერთაშორისო დონეზე კოორდინირებული, რამდენიმე ქვეყნის ჩართულობით განხორციელებული მსგავსი სამართალდაცვითი ღონისძიება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სამართალდამცავი ორგანოები, ერთობლივი ძალისხმევით, ყოველთვის შეძლებენ დანაშაულებრივი ქსელის წევრების იდენტიფიცირებას, დაკავებას და პასუხისგებაში მიცემას.

[121] <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-arasrultslovnebis-pornografiis-ukanonod-damzadeba-gasaghebisa-da-trefikingis-braldebit-organizebuli-danashaulebrivi-djgufis-11-tsevri-daakava/12975> [08.03.2020]

VI. დასკვნა

ბავშვთა კომერციულ სექსუალურ ექსპლუატაციასთან ბრძოლა თანამედროვე სამყაროსთვის დიდი გამოწვევაა. განსაკუთრებით სენსიტიურია ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულების აღკვეთა, რამეთუ პორნოგრაფია, მისი იმწუთიერი თუ გრძელვადიანი საფრთხეების გათვალისწინებით, დიდი ზიანის მომტანია არა მხოლოდ დანაშაუალის უშუალო მსხვერპლი ბავშვისთვის, არამედ ზოგადად.

ქვეყნების უმრავლესობას კარგად აქვს გაცნობიერებული ბავშვთა პორნოგრაფიიდან მომდინარე ზიანი და საფრთხეები და საკანონმდებლო დონეზე მკაცრად აქვს დარეგულირებული მისი დასჯადობის საფუძვლები. ამ დანაშაულის აღკვეთას ისახავს მიზნად ასევე გაეროს, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის შესაბამისი კონვენციები თუ ოქმები. მიუხედავად ამისა, საკითხის ცალკეული ქვეყნის მიერ ინდივიდუალური სამართლებრივი მოწესრიგება და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო ეროვნული კანონმდებლობა აფერხებს ბავშვთა პორნოგრაფიასთან საერთაშორისო მასშტაბით ბრძოლის ეფექტიანობას, ცალკეული ქვეყანა კი განყენებულად ვერ უზრუნველყოფს დანაშაულის აღმოფხვრის ადეკვატური მექანიზმების გატარებას. ამის უპირობო მიზეზი ბავშვთა პორნოგრაფიის კიბერდანაშაულთან მჭიდრო კავშირი, გავრცელების მასშტაბები და ხშირად ორგანიზებული ბუნებაა. სწორედ ამიტომ, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი აქვს საერთაშორისო თანამშრომლობას, განსაკუთრებით საპოლიციო სფეროში.

საპოლიციო თანამშრომლობა ვერ იქნებოდა ისეთი მასშტაბური და ეფექტური, რომ არა მსოფლიოს უმსხვილესი საპოლიციო ორგანიზაციები - ინტერპოლი და ევროპოლი. დიდია მათი როლი ქვეყნებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის პრაქტიკულ განხორციელებაშიც. ბავშვთა

პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში აღნიშნული ორგანიზაციების modus operandi მსოფლიო მასშტაბით მსხვერპლის იდენტიფიკაციის, დანაშაულებრივი ქსელის გამოვლენისა და მისი წევრების სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის საშუალებას იძლევა. ცალკეულ ქვეყნებს კი განყენებულად აღნიშნული არ ძალუძთ.

საქართველოსთვის საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა, განსაკუთრებით ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ახალი ფენომენია. თუმცა, ქვეყანამ, გარკვეულ წარმატებას უკვე მიაღწია, რაც ცალსახად დასტურდება 2019 წელს საერთაშორისო მასშტაბით განხორციელებული ოპერაციით, რის შედეგადაც ბავშვთა პორნოგრაფიის დანაშაულებრივი ქსელი გამოვლინდა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მთელი რიგი ღონისძიებებია გასატარებელი და დასანერგია ახალი მექანიზმები, რათა საქართველოს მონაწილეობა ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულების აღკვეთის მიზნით საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობაში იყოს ეფექტიანი.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

ვასმერი მარტინ პ., კიბერდანაშაული – აწმყო და მომავალი, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი , პირველი გამოცემა, აპრილი, 2018

ჯიშკარიანი ბაჩანა, ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარლებში, თბილისი 2013

ჯორბენაძე სერგი, ბახტაძე უშანგი, მაჭარაძე ზურაბ, მედიასამართალი, თბილისი 2014

Akdeniz Yaman, INTERNET CHILD PORNOGRAPHY AND THE LAW, National and International Responses, University of Leeds, 2008

A shared responsibility Workers organizations in the fight against the commercial sexual exploitation of children and adolescents, International Labour Organization (ILO) 2008

Calcara Giulio, Role of INTERPOL and Europol in the Fight against Cybercrime, with Particular Reference to the Sexual Exploitation of Children Online and Child Pornography, Masaryk University Journal of Law and Technology, N1, 2013

Carr John, child abuse, child pornography and the internet, London 2003

Child Pornography Legislation within the European Union (public information), Publications Office of the EU, 2005

Child Pornography: Model Legislation & Global Review, International Centre for Missing & Exploited Children. Fifth Edition, 2008

Clough Jonathan, Lawful Acts, Unlawful Images: The Problematic Definition of Child Pornography, Monash University Law Review, vol. 38, N3, 2012

Esposito Lesli C., Regulating the Internet: The New Battle against Child Pornography, Case Western Reserve Journal of International Law N30, 1998

European Police Office (Europol): Past, Present and Future, Klimek Libor, Czech Yearbook of International Law, vol. 5., Juris Publishing, 2014

Fink Naureen C., International Criminal Police Organization (INTERPOL), in: Meeting the Challenge, International Peace Institute, 2012

Gercke Marco, The Globalization of Crime a Transnational Organized Crime Threat Assessment, United Nations Office on Drugs and Crime, 2010

Haasz Amanda, Underneath It All: Policing International Child Pornography on the Dark Web, Syracuse Journal of International Law and Commerce N43, 2016

Hall Melissa, Hall Joshua, The Long-Term Effects of Childhood Sexual Abuse: Counseling Implications, American Counseling Association, 2011

Hessick Carissa B., The Expansion of Child Pornography Law, New Criminal Law Review, UNC Legal Studies Research Paper N21, April, 2018

International Police Cooperation, Emerging issues, theory and practice, Edited by Frederic Lemieux, Willan Publishing 2010

Leary Mary G., Self Produced Child Pornography: The Appropriate Societal Response to Juvenile Self-Sexual Exploitation, Virginia Journal of Social Policy and the Law, Vol 15, N1, 2008

Leary Mary G., The Language of Child Sexual Abuse and Exploitation, in: Refining Child Pornography Law, Edited by Hessick Carissa B., University of Michigan Press, 2016

Ling Cheah W., POLICING INTERPOL: The Commission for the Control of Interpol's Files and the Right to a Remedy, International Organizations Law Review 7, 2010

Marcum Catherine D., Higgins George E., Freiburger Tina L., Ricketts, Melissa L., Policing possession of child pornography online: investigating the training and resources dedicated to the investigation of cyber crime, International Journal of Police Science & Management, Vol. 12, Number, 2010

Mezei Kitti, Nagy Zoltan, Organised Cybercrime Groups and Their Illicit Online Activities, Studia Iuridica Auctoritate Universitatis Pecs Publicata 154, 2016

Müller Thorsten, Transnational Organised Crime and the Sale of Children, Child Prostitution, and Pornography, in: Internationa Law and Transnational Organized Crime, Edited by Pier Rehauck and Sven Peterke, oxford university press, 2016

Petit Juan M., RIGHTS OF THE CHILD, Special Report on the sale of children, child prostitution and child pornography (E/CN.4/2005/78), December 2004

Sadoff David A., How Law Enforcement Cooperation Abroad Is Pivotal to Sustainable Development at Home, oston University International Law Journal, N2, 2017

Tropina Tatiana, Organized Crime in Cyberspace, Transcript Verlag, 2013

Галенская Л. Н., Международная борьба с преступностью, 1972

სამართლებრივი აქტები

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №1062 ბრძანება

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 2 აპრილის №46 ბრძანება

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს №71 ბრძანება

ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია

ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია

კიბერდანაშაულის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია

ევროპოლსა და საქართველოს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება

მეკავშრეობის შეთანხმება საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის

ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე

Council Decision of 6 April 2009 establishing the European Police Office (Europol) (2009/371/JHA)

Criminal Code of Canada

Declaration and Agenda for Action 1st World Congress against Commercial Sexual Exploitation of Children , Stockholm, August 1996

DIRECTIVE 2011/92/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 13 December 2011

Penal Code of France

UK Criminal Justice and Immigration Act 2008

UK Criminal Justice and Public Order Act 1994

UK Obscene Publications Act 1959

The Constitution of the ICPO-INTERPOL, 1956

The New Jersey Code of Criminal Justice

United States Code

Strafgesetzbuch

სასამართლო გადაწყვეტილებები

Ashcroft v. Free Speech Coalition, 535 U.S. 234 (2002)

Miller v. California, 413 U.S. 15 (1973)

Osborne v. Ohio, 495 U.S. 103 (1990)

R v. Sharpe (2001) SCC 2. File No. 27376, 26 January 2001

ელექტრონული წყაროები

https://ojjdp.ojp.gov/programs/commercial-sexual-exploitation-children [08.03.2020]

<https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-arasrultslovnebis-pornografiis-ukanonod-damzadeba-gasaghebisa-da-trefikingis-braldebit-organizebuli-danashaulebrivi-djgufis-11-tsevri-daakava/12975> [08.03.2020]

<https://fra.europa.eu/en/publication/2017/mapping-minimum-age-requirements/age-majority> [25.03.2020]

<https://criminal.findlaw.com/juvenile-justice/juvenile-justice-background.html> [25.03.2020]

<https://www.nspcc.org.uk/what-is-child-abuse/types-of-abuse/child-sexual-exploitation/> [25.03.2020]

<https://www.freedomforuminstitute.org/first-amendment-center/topics/freedom-of-speech-2/adult-entertainment/pornography-obscenity/> [18.04.2020]

<https://www.gov.uk/government/publications/indecent-images-of-children-guidance-for-young-people/indecent-images-of-children-guidance-for-young-people> [27.04.2020]

<https://www.ecpat.org/wp-content/uploads/2016/04/EXSUM_A4A_EU_GERMANY.pdf> [07.05.2020]

<https://www.ecpat.org/wp-content/uploads/2016/04/EXSUM_A4A_EU_Austria.pdf> [07.05.2020]

<https://www.ris.bka.gv.at/Dokumente/Bundesnormen/NOR40194048/NOR40194048.html> [07.05.2020]

<https://www.ohchr.org/Documents/HRBodies/CRC/StudyViolenceChildren/Responses/Denmark.pdf> [07.05.2020]

<https://www.ecpat.org/wp-content/uploads/2016/04/EXSUM_A4A_EU_SWEDEN.pdf> [07.05.2020]

<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/185/signatures?p_auth=J6eSonqW> [26.05.2020]

<https://www.techradar.com/news/what-is-the-dark-web-how-safe-is-it-and-how-to-access-it-your-questions-answered?fbclid=IwAR0L_NwyostzXFXqwtF3oOi4vAa2b2cZ2IBB71aEOrFmTTJf1_VCzUgdiRQ> [18.05.2020]

<https://www.interpol.int/Who-we-are/Member-countries> [03.06.2020]

<https://www.interpol.int/Who-we-are/Member-countries/Europe/GEORGIA> [03.06.2020]

<https://www.police.gov.hk/offbeat/908/eng/n12.htm> [03.06.2020]

<https://www.interpol.int/Crimes/Crimes-against-children/International-Child-Sexual-Exploitation-database> [11.06.2020]

<https://www.interpol.int/Crimes/Crimes-against-children/Blocking-and-categorizing-content> [17.06.2020]

<https://www.itu.int/en/cop/case-studies/Documents/Interpol.pdf> [17.06.2020]

<https://www.europol.europa.eu/crime-areas-trends/europol-analysis-projects> [11.07.2020]

<https://www.europol.europa.eu/newsroom/news/dark-web-child-abuse-administrator-of-darkscandals-arrested-in-netherlands> [11.07.2020]

<https://www.europol.europa.eu/newsroom/news/child-abuse-nursery-school-teacher-and-her-partner-to-be-prosecuted-in-hungary> [11.07.2020]

<https://www.europol.europa.eu/newsroom/news/joint-action-in-22-european-countries-against-online-child-sexual-abuse-material-in-internet> [11.07.2020]

ინტერვიუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთ წარმომადგენელთან

ინტერვიუერი: მოგეხსენებათ, ინტერპოლს ჰყავს ბავშვთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე მორეაგირე სპეციალიზებული ჯგუფი, რომელიც 40 ქვეყნის დაახლოებით 100 წარმომადგენელს აერთიანებს. საინტერესოა, არის თუ არა მათ რიგებში საქართველოს წარმომადგენელი.

რესპოდენტი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფი სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის მეშვეობით, ნებისმიერ დანაშაულზე, მათ შორის ბავშვთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე, ოპერატიულ-სამძებრო თუ საგამოძიებო ღონისძიებების გატარების მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს ინტერპოლთან. მიუხედავად ამისა, ბავშვთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე მორეაგირე სპეციალიზებულ ჯგუფში, საქართველოს, წარმომადგენელი ამ ეტაპზე არ ჰყავს.

ინტერვიუერი: ბავშვთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე, განსაკუთრებით კი სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევებში, ინფორმაციის დამუშავების პროცესში ინტერპოლი იყენებს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის ბაზას, სადაც დაახლოებით 1.5 მილიონი პორნოგრაფიული ფოტო და ვიდეო მასალა ინახება. აღნიშნულ ბაზაზე დაშვება აქვს დაახლოებით 60 ქვეყნის სპეციალურ გამომძიებლებს. იყენებს თუ არა საქართველოს საგამოძიებო უწყება აღნიშნულ ბაზას?

რესპოდენტი: ჩვენი ქვეყნის სამართალდამცავი უწყებები ამ ბაზაზე დაშვებით არ სარგებლობენ, თუმცა როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, ყველა ძირითადი მოსამზადებელი საქმიანობა უკვე განხორციელებულია და უახლოეს მომავალში საქართველოს კვლავ აღუდგება ბაზაზე დაშვების უფლება.

ინტერვიუერი: არის თუ არა საქართველოში ბავშვთა პორნოგრაფიის შემცველი ვებ-გვერდების დაბლოკვის პრაქტიკა?

რესპოდენტი: საქართველოს სამართალდამცავ უწყებას ჰყავს სპეციალიზებული დანაყოფი, რომელიც მუშაობს კიბერ სივრცეში ჩადენილ დანაშაულებზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო დანაშაულის გამოძიების პროცესში, ღია, ღრმა თუ ბნელ ვებში გამოავლენს ყველა საეჭვო ვებ-გვერდს და აანალიზებს მათ შემცველობას. თუ გვერდზე განთავსებულია ბავშვთა პორნოგრაფიული მასალა, ეს გვერდი ავტომატურად ხვდება დასაბლოკი გვერდების

სიაში და სამმართველო ინტერნეტ-პროვაიდერთან ერთად უზრუნველყოფს მის დაბლოკვას.

ინტერვიუერი: როგორც ცნობილია, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროპოლთანაც. რა როლი აქვს აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში?

რესპოდენტი: ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის პროცესში ევროპოლის განსაკუთრებულ როლს ადასტურებს ბავშვთა პორნოგრაფიის ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური დანაშაულებრივი ქსელის ევროპოლთან თანამშრომლობის გზით გამოვლენა. აღნიშნული ოპერაცია 2019 წელს განხორციელდა და იგი უპრეცედენტოა საქართველოს მასშტაბით, ხოლო მსოფლიო დონეზე ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია. კერძოდ, ერთ-ერთ ბავშვთა პორნოგრაფიის საქმეზე ავსტრალიაში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში კვალი იკვეთებოდა მათ შორის საქართველოშიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემდგომი საპოლიციო თანამშრომლობისა და მონაცემთა დაცული არხით გაცვლის თხოვნით, ავსტრალიის მეკავშირე ოფიცერმა ევროპოლის საინფორმაციო არხით მიმართა საქართველოს სამართალდამცავ უწყებებს. საპოლიციო თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, გენერალური პროკურატურის, ევროპოლის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრალიის სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, არასრულწლოვნის ვაჭრობისა და არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადება-გასაღების ქსელი გამოავლინეს და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 11 წევრი დააკავეს, მათ შორის პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადებაში ჩაბმული არასრულწლოვანი ბავშვების მშობლები. როგორც გამოძიების მასალებიდან იკვეთება დაკავებულ აშშ-ის და ავსტრალიის მოქალაქეებს, თბილისში, ნაქირავებ ბინებში კონსპირაციულად მოწყობილი ჰქონდათ ფოტოსალონები და უცხოეთში რეალიზაციის მიზნით არასრულწლოვნების გამოსახულების შემცველ პორნოგრაფიულ ნაწარმოებს ამზადებდნენ. დანაშაულებრივ საქმიანობაში, მშობლების თანხმობით, ჩაბმული იყო 8-დან 14 წლამდე ასაკის 10-მდე არასრულწლოვანი გოგონა.

თარიღი: 07.08.2020

ავტორი: ანა გამსახურდია